შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (9.633)

31 მაისი–7 ივნისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პურის, ღვინის და ფოლკლორის ფესტივალი

საქართველო ღვთისშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რომელიც ძალიან ძლიერ და ღრმა ფესვებზე დგას. ეს ფესვები, ჩვენი ტრადიციები, კულტურა, ენა, მამული და სარწმუნოებაა, დიდი ტრადიციების მატარებელი ქვეყანა კი, ყოველთვის მიილტვის ეროვნული თვითშეგნებისკენ, მასში მუდამ მაღალია საკუთარი სამშობლოსადმი სიყვარულის განცდა და ამაყობს ამით. სწორედ ამიტომ ქართველისთვის ყოველი კალენდარული დღე ქართველობის შეგრძნებისაა, ჩვენ ყოველ წუთს, ყოველ წამს გვიყვარს და გვეამაყება ჩვენი ერი და ეროვნულობა, თუმცა, არსებობს დღე, 26 მაისი, რომელიც უფრო ღრმად ჩაგვახედებს ხოლმე ჩვენი ისტორიის ჭრილობებში და თითოეულ ქართველს კიდევ ერთხელ გვაფიქრებს იმაზე, თუ რამდენად დიდი მონაპოვარია ქართველობა, ჩვენი თვითშეგნება, ჩვენი დამოუკიდებლობა და კიდევ უფრო მეტად ვიხრით ქედს ჩვენი მიწისა თუ ცის წინაშე.

მე აღარ ჩავუღრმავდები და აღარ შევალ ისტორიის იმ ძნელბედობის ლაბირინთებში, თუ როგორ წაგვართვეს 1800 წელს დამოუკიდებლობა, როგორ მოჰყვა ქართლ-კახეთის რუსეთთან მიერთების მანიფესტს საქართველოს სამეფოს ფაქტობრივი გაუქმება, როგორ წაუკითხეს ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში იმპერიის განაჩენი და ქვეყანა, რომელსაც ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმმართველის ხელში გადავიდა. მას შემდეგ არა და არ დაცხრა ქართველთა გული, თითქმის ერთ საუკუნეზე მეტ ხანს უდრტვინველად უძლებდა ამ შეურაცხყოფას, გმინავდა ყოველი ქართველის მეობა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. სულს ითქვამდნენ ქართულ მწერლობაში, პოეზიაში და უჩუმარ რწმენაში, ილიას სიტყვებში - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნოდეს“და „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებსო“. ასე ღვივდებოდა ქართველების სულისკვეთება და აი, 1917 წლის მარტში, ისევ სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯილა დარჩა, 1918 წლის 26 მაისს კი თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ეს სიხარული, საბჭოეთის ტალღამ გადაუარა საქართველოსაც და... მხოლოდ 1991 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს თავისუფლება.

მას შემდეგ საქართველოში 26 მაისი დღესასწაულის დღედ იქცა. ყოველი წლის ამ დღეს, ქართველები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღვნიშნავთ. აქამდე ეს დღე ძირითადად ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებში იმართებოდა, ხოლო რეგიონები მცირე ღონი-

(გაგრძელება გვ.8)

თამბაქო - გლობალური საფრთხე!

ყოველწლიურად, 31 მაისს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და მისი პარტნიორი ორგანიზაციები აღნიშნავენ დღეს „მსოფლიო თამბაქოს გარეშე". ამ დღის აღსანიშნავად კიდევ ერთხელ ხდება თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების ხაზგასმა და თამბაქოს მოხმარების შემცირებისაკენ მიმართული ეფექტური პოლიტიკის განხორციელების ადვოკატირება. თამბაქოს მოხმარება მსოფლიოში ერთადერთი ყველაზე უფრო თავიდან აცილებადი სიკვდილის მიზეზია, თუმცა ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის სიკვდილობის 10% სწორედ ამ მიზეზითაა გამოწვეული.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში თამბაქოსაგან გამოწვეული დაავადებებით ყოველწლიურად 9 000-დან 11 000-მდე ადამიანი იღუპება, მათ შორის 3 000-მდე პასიური მოწევის მსხვერპლია. ყოველწლიურად იყიდება 10 მილიარდი ღერი (0.5 მილიარდი კოლოფი), რაც დაახლოებით 0.58 მილიარდ ლარს შეადგენს.

თითქოსდა, რა აზრი აქვს მხოლოდ ერთი დღით მოწევისგან თავის შეკავებას, თუ დანარჩენი 364 თავსაც და ირგვლივ მყოფებსაც დაუნდობლად წამლავთ შხამიანი კვამლით? არადა, უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნეა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ აქვს. ჯერ ერთი, არამწეველი მსოფლიო ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე მტრის წინაალმდეგ ირაზმება, მეორე – 24-საათიანი აბსტინენცია მწეველებს უფრო ხანგრძლივი და გადამჭრელი ზომების მისაღებად წაახალისებს. 1988 წელს თამბაქოს გარეშე დღედ მსოფლიოში 31 მაისი გამოცხადდა. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, უკვე მრავალგზის ნათქვამი კიდევ ერთხელ შეგვეჯამებინა. ეპიდემიის გეოგრაფია

თამბაქოს მოხმარება ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხეა ჯანმრთელობისთვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში 15 წლისა და ამაზე უფროსი ასაკის დაახლოებით 1.3 მილიარდი მწეველია. მათი 4/5 დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ცხოვრობს.

არსებული მონაცემებით, საღღეისოდ თითქმის 5-ჯერ მეტი მამაკაცი ეწევა, (მათი 48%) ვიდრე ქალი (10%). თუმცა ეს მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ჩინეთში, მაგალითად, მამაკაცების 63% ეწევა, ქალებისა კი სულ 3.8%. და მაინც, ასეთი გენდერული განსხვავება თურმე ეპიდემიის ადრეული საფეხურებისთვის არის დამახასიათებელი და უფრო მეტად განვითარებად ქვეყნებშია გამოხატული. მოსალოდნელია, არსებული სხვაობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ამოივსოს, რადგან სულ უფრო მეტი ქალი დაიწყებს მოწევას.

საერთაშორისო გამოკვლევამ ახალგაზრდების მიერ თამბაქოს მოხმარების შესახებ (The Global Youth Tobacco survey) აჩვენა, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები დაახლოებით ერთნაირად ეწევიან. თუ ეს ტენდენცია არ შეიცვალა მოსალოდნელია, 2025 წლისთვის რომ ქალთა პოპულაციის 20% მწეველი იყოს.

თამბაქოს პროდუქტების მოხმარება მსოფლიოში, ზოგადად, იზრდება, თუმცა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში მცირდება. ბოლო წლებში თამბაქოს მოხმარებაზე უარი თქვა ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მრავალმა სახელმწიფომ. სამაგიეროდ, გაიზარდა მისი მოხმარება სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით – აზიაში. მსოფლიოს მწეველების თითქმის მესამედი დღეს ჩინეთში ცხოვრობს. ამ ქვეყანაში 300 მილიონი მწეველია, რაც აშშ-ის მთელი მოსახლეობის ტოლფასი გახლავთ. ამრიგად, ეპიდემია განვითარებადი ქვეყნებისკენ გადაინაცვლებს. მსოფლიოში მწეველთა 80% დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების მკვიდრია.

ქართული მონაცემები

საქართველოში თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის

(გაგრძელება გვ.8)

„ჩვენ ვიწყებთ შენებას ახლის!“

გვ. 7

ეურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 15 ივნისამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

სიკეთეს სიყვარული შთაგვაგონებს

გვ. 7

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე ამხანაგური შეხვედრა გაიმართა ფეხბურთში. ერთმანეთს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები დუშეთის მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულ კოლეგებს დაუპირისპირდნენ. მატჩი მეგობრულად ფრედ 1:1 დასრულდა.

C M Y K

31 მაისს ზაფხულის ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნება

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი საზაფხულო სეზონს სიმბოლურად 31 მაისს „საოცრებათა პარკში“ გახსნის.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ცნობით, ბათუმში ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნა ზღვაზე დასვენებასთან დაკავშირებული სპორტული და გასართობი ღონისძიებებით იქნება გამორჩეული.

საოცრებათა პარკის მიმდებარე სანაპიროზე მოეწყობა ფრენბურთის მოედანი, მაგიდის ჩოგბურთი, ტანმოვარჯიშეების მოედანი, ქუჩის კალათბურთისა და ხელბურთის სივრცეები. სანაპიროზე გაიშლება შეზლონგები, ზღვაში კი მოეწყობა ბილიკები მოცურავეთათვის და წყალბურთის მოედანი. ზღვისპირა პერიმეტრზე განთავსდება სხვადასხვა საზღვაო აღჭურვილობა: სკუტერები, ნავები, კაიაკი, იახტა. სამაშველო სამსახურის სიმბოლურად ჩაატარებს მცირე სწავლებებს დამსვებელების უსაფრთხოების წესების შესახებ. მსურველებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო აქტივობებში.

გასართობი სპორტული ღონისძიებები ჩატარდება მუსიკალური გაფორმების თანხლებით, რომელსაც შეასრულებს ცოცხალი ბენდი. დღის მანძილზე თამაშის მონაწილეებს მუსიკით გაამხნევებს ასევე მოწვეული დიჯეი, რომელიც დამსწრეთათვის სადღესასწაულო განწყობას შექმნის, შესრულდება კუბური მუსიკალური ნომრებიც.

მოედანზე მოწყობილ ფოტო სტენდებთან შესაძლებელი იქნება გადაღება ცოცხალ მიმებთან, ბოდიარტით სარგებლობა - სხაულისა და სახის მოხატვა.

საღამოს 21 საათზე გაიმართება უფასო კონცერტი დათო ხუჯაძისა და გუფი ლენდის მონაწილეობით.

23 საათზე ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნა ფანტანებთან ფოიერვერკით დასრულდება.

სეზონის ოფიციალური გახსნა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ადგილებში ერთდროულად აღინიშნება.

დედოფლისწყაროს გამგებლის მოვალეობას სოლომონ ღორაშვილი ასრულებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სოლომონ ღორაშვილი შეასრულებს.

როგორც გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში განმარტავენ, იმის გამო, რომ გამგებლის მოადგილეებიც წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთვნენ, გამგებლის მოვალეობის შესრულება ერთ-ერთი სამსახურის უფროსს დაევალა.

თანამდებობრივი უფლებამოსილება შეიჩერა გამგებლის მოადგილე ნიკოლოზ ხუციშვილმა. ხოლო გამგებლის ორი მოადილე შვებულებაშია გასული.

ორი მოადგილე მათივე სოფლის მაჟორიტარ კანდიდატად დაასახელეს. გამგებლის კიდევ ერთი მოადგილე აკაკი ნატროშვილი, რომელიც იმავდროულად რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილეა, კოალიციის პროპორციულ სიაში მეათე ნომერს იკავებს.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა უფლებამოსილების შეჩერების შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ დაწერა და აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. მმართველი გუნდის კანდიდატები შეხვედრებს დედოფლისწყაროს სოფლებში განაგრძობენ.

წინასაარჩევნო შეხვედრები მოსახლეობასთან

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 25 მაისს კახელ ამომრჩეველს შეხვდა და მათ თელავში გამართულ შეხვედრაზე კახეთის რვავე რაიონში კოალიცია “ქართული ოცნების” გამგებლობის კანდიდატები ოფიციალურად წარუდგინა. თვითმმართველობის არჩევნებამდე 20 დღით ადრე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კახელ ამომრჩეველს კოალიციის საარჩევნო პროგრამა გააცნო და მოსახლეობას მმართველი გუნდის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

„მოგესალმებით კახელებო, მივესალმები ჩემს კახეთს, ჩემს გაუტეხელ კახელებს გაუმარჯოს. დღეს ბედნიერი და უზომოდ ამაყი ვარ, რომ ჩემი მშობლიური კახეთის მიწაზე ვდგავარ. ახლა მთავარია გავაკეთოთ სწორი არჩევანი. კოალიცია ქართული ოცნება ნამდვილად გთავაზობთ კარგ კანდიდატებს - მე გპირდებით!.. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. ჩვენ გავიმარჯვეთ საპარლამენტო არჩევნებში, საპრეზიდენტო არჩევნებში და აუცილებელია გამარჯვებით დავასრულოთ ეს ციკლი. ჩვენ განსაკუთრებულად შევარჩიეთ სამშობლოს მოყვარული და ერთგული კადრები, ნამდვილი პატრიოტი ხალხი და მინდა წარმოგიდგინოთ ისინი, ჩემი მშობლიური დედოფლისწყაროს გამგებელი - ნიკოლოზ ჯანიაშვილი“

წინასაარჩევნო პროგრამის ფარგლებში გრძელდება კანდიდატების შეხვედრები მოსახლეობასთან. რამდენიმე დღის წინ კოალიცია „ქართული ოცნების“ ქალაქ დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატი მიხეილ ბახუტაშვილი და ამავე პარტიის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ირაკლის წყაროსთან თამარის ქუჩის, ერეკლე მეორის ქუჩის და ხევსურების უბნის მოსახლეობას შეხვდნენ.

მოსახლეობამ მათთან პრობლემები დაყენა და არჩევნების შემდგომ დღის წესრიგში მათ წინაშე არსებული საკითხების მოგვარება დაავალა. თამარის და ხევსურების ქუჩების მოსახლეობამ მათი გზის ასფალტის საფარით მოპირკეთება და რაიონში ნორმალური სამედიცინო კლინიკის არსებობაზე ისაუბრა, ხოლო ერეკლე მეორის ქუჩის მაცხოვრებლები გარე განათებას და ნაგვის ურნებს ითხოვდნენ.

- „კმაყოფილი ვარ დღევანდელი შეხვედრით. ძალიან კარგად მოგვმართავდნენ, გულისხმიერად მოგვისმინეს და ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას დაგვპირდნენ. გვითხრეს, რომ ახალი საავადმყოფოს მშენებლობაც მალე დაიწყება და ჩვენს ქუჩაზეც მთლიანად ასფალტი დაეგება. ეს საკითხი ჩვენი ქუჩის მაცხოვრებლებს ძალიან გვაწუხებდა და გაგვიხარდა, რომ მოგვიგვარდება.“- ამბობს „შირაქთან“ საუბარში ჭარმაგი ნასყიდა წიკლაური.

იმედს ვიტოვებთ, მოსახლეობის მიერ წამოჭრილი პრობლემები, მართლაც, დადებითად გადაწყდება და კანდიდატების დანაპირებიც პირნათლად შესრულდება.

ლალი მეხრიშვილი

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დედოფლისწყაროს ეწვივნენ. დავით ბაქრაძემ, გიგი უგულავამ, კობა სუბელიანმა, ირმა ნადირაშვილმა და სხვებმა ადგილობრივებს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატები წარუდგინეს.

ამომრჩეველთან შეხვედრა „ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ეზოში გაიმართა. მას დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის წევრი ზაზა კედელაშვილიც ესწრებოდა.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს შტაბში „შირაქს“ განუცხადეს, შეხვედრის დაწყებამდე ოფისის წინ დაბურულშუშებიანი მერსედესით ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვედრაზე მისულ ადამიანებს აკონტროლებდნენ.

გიგი უგულავამ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ერთადერთია, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს: - „მთელ საქართველოში დავდივართ და დედოფლისწყარო ერთადერთია, სადაც გზებს აგებენ, ეს გამონაკლისია, რადგან ყველა პროექტი, რაც ჩვენ დავიწყეთ გაჩერებულია,“ - აცხადებს უგულავა.

„ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერი დედოფლისწყაროს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილია, ხოლო დედოფლისწყაროს გამგებლობის კანდიდატად ემზარ ჯანაშვილი დაასახელეს.

„შეიკრა გუნდი, ვინც გაბედა, წინასაარჩვნო კამპანიაში ჩაბმულიყო. ღმერთის წყალობით შეგვრჩა ის რესურსი, რომ ადამიანებში აგვერჩია პროფესიონალიზმი, ვეცადეთ ყველა სფეროს შევხებოდით. გვინდა ყველა სფეროს ადამიანი იყოს ჩვენს გუნდში, რადგან, როცა საკრებულოში შევალთ, ყველა კომისიაში, სოციალურ, საბიუჯეტო, თუ ინფრასტრუქტურის კომისიებში გადავნაწილდეთ და ჩვენი იდეები გავატაროთ. მივუთითოთ შეცდომებზეც, თუკი არასწორი ნაბიჯებიც იქნება. ჩვენს სიაში პროფესიონალიზმი დიდი დოზით დევს. მჭირდებოდა მყარი გუნდი, რომ აღარ მოხდეს პორტირება. ვინც ზეწოლას დღემდე გაუძლო, ვიცი, რომ მომავალშიც გაუძლებს და ზეწოლები უფრო მოიმატებს. ჩვენ გვქონდა ასეთი პრინციპი, რა სურვილი და ოცნებაც გაგვაჩნდა, რომ დედოფლისწყაროსთვის გვეკეთებინა, ღამეებს ვათენებდით და ამაზე ვმუშაობდით. ძალიან ბევრი საქმე და იდეა დაგვრჩა განუხორციელებელი. ჩამოთვლას არ დავიწყებ, ყველამ კარგად იცის. გადავხედოთ დღევანდელ რეალობას: ორ სოფელში ასფალტი დაიგო და დიდებული საქმე გაკეთდა. ძალიან მიხარია და მივესალმები ყველა იმ ფაქტს, რაც კეთდება. მაგრამ გადავხედოთ, რა ხდება დანარჩენ სოფლებში: ფიროსმანი, სამთაწყარო, არხილოსკალო და დანარჩენი ქიზიყური სოფლები. აშკარაა, რომ სოფლის დახმარების პროგრამის გარდა ამ სოფლებში თანხები არ ჩადებულა. 300-400 ათასი ლარი რომ დახარჯულიყო, წარმოიდგინეთ, რამხელა სიკეთე და მადლი იქნებოდა მათთვის. ჩვენ როცა ვიქნებით საკრებულოში, არავის არ მივცემთ ამის უფლებას. ეს არის ჩვენი მესიჯი ამომრჩევლისადმი. როცა ჭკვიანი ოპოზიცია იჯდება საკრებულოში, ის უკვე მიუთითებს, რომ 5 მილიონი არ უნდა დაიხარჯოს ერთ სოფელში და ის სხვა სოფლებზეც გადანაწილდეს. ჩვენ შეგვიძლია ჭკვიანური აზრი მივაწოდოთ უმრავლესობას,“ - აღნიშნავს ლევან ბაღაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ პარტიის ლიდერების მიერ დედოფლისწყაროში გამართული შეხვედრის შემდეგ მათ ერთ-ერთ მხარდამჭერზე ზეწოლა განხორციელდა, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

„წინასაარჩევნო აქციის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ დომენტი ყოჩიაშვილს, სახლში მიუვარდა სოფელ მირზაანის რწმუნებული აკაკი თარაშვილი, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა, გამოძახებული იყო საპატრულო პოლიცია, ამჟამად მიმდინარეობს ძიება. ვნახოთ შედეგი რა იქნება,“ - ამბობს ლევან ბაღაშვილი.

ინციდენტს ადასტურებს სოფლის რწმუნებული აკაკი თარაშვილი, თუმცა ის განმარტავს, რომ მომხდარი კამათი პოლიტიკას არ უკავშირდებოდა.

„ეს არის სიცრუე, არავითარი საყვედური არ მითქვამს. ერთი კაცის აქციაზე მისვლა არაფერს შეცვლიდა და რატომ დავემუქრებოდი. კამათი მოგვიხდა, მაგრამ პოლიტიკაზე და არჩევნებზე საუბარი არ ყოფილა. საქმე იმაშია, რომ ყოჩიაშვილმა საქონელი შემოუშვა ჩვენს ეზოში, მცენარეები გაანადგურა და ამაზე ვუსაყვედურე. არ უნდა მიმეცა შენიშვნა?.. პოლიციამ უკვე დამკითხა, მაგრამ გამოძიება მიმდინარეობს არა აქციაზე წასვლისთვის კამათზე, არამედ იმის გამო, რომ მან საქონელი შემოუშვა და ვიკამათეთ,“ - განაცხადა სოფელ მირზაანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა აკაკი თარაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

ოცნებიდან - რეალობამდე

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში ახალი ოპოზიციური ძალა - ქართული ოცნება მოვიდა.

ბატონ ბიძინა ივანიშვილის გუნდმა უზრუნველყო ახალი სახელმწიფო ხედვების და სხვადასხვა პროგრამების შემუშავება, წნეხისგან გაათავისუფლა ბიზნესი, განსაკუთრებული გარდატეხა შეიტანა კერძო სექტორში :

- საშუალო და მცირე ბიზნესის, ოჯახური და კოოპერაციული მეურნეობების განვითარების მიმართულებით.

- გადაიარაღდა და გაფართოვდა მსხვილი საწარმოები, საფუძველი ჩაეყარა გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას.

- აქტიურად მიმდინარეობს საბაზრო შესაძლებლობების შესწავლა და განვითარება საერთაშორისო ურთიერთობებში საქმიანი ადამიანების ჩართვის და ბიზნესის გაძლიერების კუთხით.

- მიმდინარეობს ინვესტირების პოლიტიკის გააქტიურება ევროპელ და მეზობელ პარტნიორ სახელმწიფოებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისრაელთან დამეგობრება და მისი გამოცდილების გაზიარება ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის.

- მნიშვნელოვანია, მცირემიწიანი ფერმერების აგრობარათებით დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შიდა ბაზრისთვის გლეხური მეურნეობების გაძლიერებას ისახავს მიზნად, ასევე,,, შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელიც აგრარულ სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს.

- მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მიმართულებით.

- განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროგრამები საგზაო, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მიმართულებით.

წელიწადნახევარი ხელისუფლებაში ...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი ეტაპი დაიწყო დედოფლისწყაროსთვისაც. ახალგაზრდა თავკაცის -მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. 2013 წელს დედოფლისწყაროში ადგილობრივი (10 1101ათასი ლარი) თუ ცენტრალური ბიუჯეტებიდან, სხვადასხვა ფონდებიდან მოზიდულმა ფინანსურმა სახსრებმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. 40 მილიონამდე თანხა მოხმარდა სხვადასხვა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას. ირაკლი შიოლაშვილის კახეთის გუბერნატორად გადასვლის შემდეგ აღებული კურსი გააგრძელა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის გამო მას მოხსნილი აქვს უფლებამოსილება და გამგებლის მოვალეობას ამჯერად გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სოლომონ ღორაშვილი ასრულებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განახორციელა 18, 2 მილიონი ლარის საგზაო და ნაპირსამაგრი სამუშაოები. კერძოდ: 12 მილიონი ლარის სამუშაოები შესრულდა წნორი-დედოფლისწყაროს-ქვემო ქედის სახელმწიფო გზის 10 კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის მშენებლობა მიმდინარე წელსაც გაგრძელდება; 5 მილიონი ლარის სამუშაოები შესრულდა სოფელ ქვემო ქედის ცენტრალური გზის 7, 5 კილომეტრიან მონაკვეთზე და 1, 2 მილიონი ლარი დაიხარჯა მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპიროს ერთი მონაკვეთის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებაზე. სოფლის დახმარების პროგრამით დედოფლისწყაროსთვის გამოიყო 465 682 ლარი.

ტერიტორიული ორგანოების მიხედვით შესასრულებელი საქმიანობები და თანხები კი შემდეგნაირად გადანაწილდა და გაიხარჯა:

ქალაქი დედოფლისწყარო:

ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე დაიხარჯა 1. 976. 677 ლარი. აქედან, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში დაიხარჯა 1. 483. 829 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 492. 848 ლარი.

ქალაქის შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 1. 393. 360 ლარი. განახლდა წმ. ელია თეზბითელის ეკლესიასთან მისასვლილი გზა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა თბილისის, გამარჯვების, პატატიშვილის, გურამიშვილის, მთის, ქეთევან წამებულის, ერეკლე მეორის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო გომელაურის, ევდოშვილის პირველი შესახვევის და მარჯანიშვილის ქუჩებს .

ადგილობრივი ბიუჯეტის მეშვეობით რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხელოვნების სკოლას, რაზეც დაიხარჯა 23 800 ლარი, 11. 703 ლარი მოხმარდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების დამაგრებას; 24. 288 ლარი - „ჯარის წყლის“ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას, ხოლო-145. 914 ლარი - N1, N2, N3 და N4 სავაბშვო ბაღების ნაწილობრივ რეაბილიტაციას - (აღნიშნული საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია მიმდინარე წელს დასრულდება); კულტურის სახლის რეაბილიტაციას მოხმარდა 26. 000 ლარი; სახანძრო-სამაშველო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციას- 5058 ლარი; თბილისის ქუჩის, ფიროსმანის ქუჩის და 9 ძმის ქუჩის პირველი შესახვევის სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას-78. 491 ლარი; პუშკინის ქუჩის გარე განათების მოწყობას - 9. 000 ლარი; ჰერეთის და იორის ქუჩების გადაკვეთაზე საბავშვო-გასართობი მოედნის მოწყობას-31. 164 ლარი; ჰერეთის ქუჩაზე დეკორატიული საყრდენი კედლის რეაბილიტაციას-28. 352 ლარი; N1 საჯარო სკოლასთან წრიული ბორდიურის და მასში მრავალნათურიანი განათების ბოძის მოწყობას-1. 761 ლარი; 9 ძმის და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთასთან არსებულ მცირე გაზონის რეაბილიტაციას-4. 100 ლარი; სამშობლოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალის კეთილმოწყობას - 2. 660 ლარი; გამგეობის მე-3 სართულის ნაწილობრივ რეაბილიტაციას-13. 500 ლარი და ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის საკანალიზაციო სისტემის მოწყობას-157. 000 ლარი.

სოფელი ზემო მაჩხაანი:

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოფელში არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მიზნით, დაიხარჯა 18. 000 ლარი; სოფლის ერთ უბანში 15 ტონიანი წყლის რეზერვუარის და წყალმომარაგების ქსელის მოწყობის მიზნით-10. 632 ლარი; ხოლო „თელაწყალზე“ მიმავალი გზის დახევებული მონაკვეთების მოხრეშვა-დაგრეიდერების მიზნით-16. 000 ლარი.

გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას მოხმარდა -9. 622 ლარი.

სოფელი მირზაანი:

სოფლის დახმარების პროგრამით, ერთ შენობაში განთავსებულ საბავშვო ბაღის და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ოთახების რეაბილიტაციას, მოხმარდა 16. 064 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით, ამავე საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას - 43. 300 ლარი, სანიაღვრე არხის მოწყობას-16. 394 ლარი.

სოფელი არბოშიკი:

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში სულ დაიხარჯა 42. 918 ლარი, კერძოდ: სოფლის საუბნო წყალმომარაგების ქსელის მოწყობაზე - 7. 583 ლარი; სოფელში არსებული სანიაღვრე არხის გაწმენდის სამუშაოებზე-10. 000 ლარი; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ორი ოთახის რეაბილიტაციაზე-6. 982 ლარი; მეორე მსოფლიო ომში

დაღუპულ გმირთა მემორიალის რეაბილიტაციაზე-10. 360 ლარი ; ხოლო, სოფლის ეკლესიასთან, გზირიაანთ უბანსა და უთრუთაანთ უბანში გარე განათების მოწყობაზე -7. 993 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სოფელში არსებული საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაციის მიზნით, დაიხარჯა 2. 4 08 ლარი.

სოფელი ოზაანი:

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას მოხმარდა 13. 905 ლარი; ხოლო საჯარო სკოლასთან და ეკლესიასთან მიმავალ გზაზე გარე განათების მოწყობას-2. 300 ლარი.

სოფლის დახმარების პროგრამით ამ სოფელში დაიხარჯა 32. 884 ლარი, მათ შორის: საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე - 17. 190 ლარი; სოფლის სასაფლაოს მავთულბადით შემოღობვაზე -7. 960 ლარი; სოფელ თავწყაროში წყლის რეზერვუარის სიმაღლეზე აწევის და გამოტოვებულ უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებზე - 3. 828 ლარი; სკოლასთან და ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე გარე განათების მოწყობის მიზნით-1. 904 ლარი და სოფელ თავწყაროში მისასვლელ გზაზე არსებული რკინიგზის გადასასვლელზე ასფალტის საფარის მოწყობაზე - 2. 002 ლარი.

სოფელი გამარჯვება:

სოფელში არსებული შიდა საავტომობილო ხრეშოვანი გზების რეაბილიტაციის მიზნით, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა- 32. 617 ლარი.

სოფელი ხორნაბუჯი:

2013 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციის მიზნით, სულ დაიხარჯა 1. 534. 787 ლარი. აქედან: ეკა ბეჟანიშვილის ქუჩის მოასფალტებაზე გაიხარჯა 329. 665 ლარი; ხოლო მეგობრობის ქუჩის მოასფალტებაზე - 636. 638 ლარი; დუმბაძის ქუჩის დარჩენილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით გაიხარჯა 231. 571 ლარი, ხოლო ამავე ქუჩაზე არსებული ბოგირის რეაბილიტაციაზე -113. 753 ლარი; ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაციას მოხმარდა -39. 025 ლარი; ჩოლოყაშვილის 2 მონაკვეთის რეაბილიტაციას - 39. 926 ლარი; ქიზიყის ქუჩის, ახალ სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის მიზნით გაიხარჯა -75. 411 ლარი, ხოლო ქიზიყის ქუჩის შესახვევის რეაბილიტაციაზე - 68. 798 ლარი. გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში სოფელში გამოტოვებულ უბნებში, წყალმომარაგების ქსელის მოწყობის მიზნით (თავისუფლების ქუჩის დარჩენილი მონაკვეთი, ჩოლოყაშვილის ქუჩის შესახვევი და არწივის ხეობის გზა) დაიხარჯა-29. 447 ლარი.

სოფლის განვითარების პროგრამით, ერეკლე II-ის და მერაბ კოსტავას ქუჩებზე, წყალმომარაგების ქსელის მოწყობას მოხმარდა-13. 726 ლარი, ხოლო სოფლის შიდა საავტომობილო ხრეშოვანი გზების რეაბილიტაციას- 27. 450 ლარი.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით, მეგობრობის და ერეკლე მე-2-ის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული სკვერის რეაბილიტაციას და საბავშვო გასართობი ატრაქციონის მოწყობას მოხმარდა 23. 440 ლარი, ხოლო საბავშვო ბაღის აივნის გადახურვას-1. 291 ლარი.

სოფელი სამრეკლო:

სოფლის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში, შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით სულ გაიხარჯა 307. 734 ლარი, მათ შორის, შრომის ქუჩის (ენამთაში მისასვლელი გზა) ასფალტის საფარით მოწყობის მიზნით დაიხარჯა 222. 235 ლარი; ხოლო სტალინის ქუჩის მონაკვეთის ასფალტის საფარის რეაბილიტაციის მიზნით- 85. 499 ლარი.

სოფლის დახმარების პროგრამით, სოფელში არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 57. 150 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის მესერისა და კიბის უჯრედების რეაბილიტაციაზე - 3. 346 ლარი.

სოფელი ზემო ქედი:

სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით 2013 წელს სულ დაიხარჯა 224. 945 ლარი. მათ შორის სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მიზნით- 27. 835 ლარი, N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მიზნით-18. 423 ლარი, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის შემოღობვის მიზნით- 4. 550 ლარი, ხოლო სოფლის წყალსაქაჩთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის (მოხრეშვა) მიზნით-1. 403 ლარი. საინვესტიციო პროექტის ფარგლებში, სოფლის ამორტიზირებული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის და ახალი ქსელის მოწყობის მიზნით კი დაიხარჯა-172. 734 ლარი.

სოფელი არხილოსკალო:

საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, სოფელში არსებული ამორტიზირებული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციასა და ახალი ქსელის მოწყობას მოხმარდა 189. 260 ლარი, ხოლო სოფლის განვითარების პროგრამით, სოფელში არსებული სკვერის და საბავშვო ბაღის ტერიტორიის კეთილმოწყობას - 23. 507 ლარი, შიდა საავტომობილო ხრეშოვანი გზის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა - 2. 500 ლარი, ხოლო სოფელში არსებული ღია საცურაო აუზის გარშემო ტერიტორიის ხრეშით მოშანდაკებაზე - 3. 037 ლარი. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სოფლის საბავშვო ბაღის აივნის გადახურვას მოხმარდა- 1. 309 ლარი.

სოფელი ქვემო ქედი:

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, სოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მიზნით დაიხარჯა 9. 620 ლარი, თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის მიზნით კი - 34. 041 ლარი; მინი სპორტული მოედნის მოწყობას მოხმარდა 2. 403 ლარი და მცირე მონაკვეთზე მავთულბადით ღობის მოწყობას - 655 ლარი, საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, სოფელში გამოტოვებულ უბნებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის მიზნით გაიხარჯა - 35. 556 ლარი. გარდა ამისა, სოფლის ცენტრალური ქუჩის ასფალტის საფარით მოწყობას მოხმარდა 5 მილიონი ლარი, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გაიღო.

სოფელი სამთაწყარო:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 30. 880 ლარი, ხოლო სოფლის განვითარების პროგრამით, სოფლის

(გაგრძელება გვ.4)

ოცნებიდან - რეალობამდე

(მესამე გვერდიდან)

წყალმომარგების შიდა ქსელის მოწყობას და არსებული ჭაბურღილისათვის ახალი ტუმბოს მოწყობას მოხმარდა 32. 391 ლარი.

სოფელი ფიროსმანი:

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, სოფელში გამოტოვებულ უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობას მოხმარდა 2. 300 ლარი, ხოლო სოფლის სტადიონის მოწყობას-11. 494 ლარი და შიდა საავტომობილო ხრეშოვანი გზების რეაბილიტაციას - 2. 888 ლარი.

მშენებარე ხორცკომბინატი

სოფელი საბათლო:

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, სოფლის წყალმომარაგების ქსელის და არსებული ჭაბურღილისათვის ახალი ელექტრო- ტუმბოს მოწყობას მოხმარდა 14. 319 ლარი.

სამომავლოდ, სხვადასხვა პროგრამებით იგეგმება: ქედების ზონის სოფლების გაზიფიცირება; შიდა საუბნო, სასოფლო და სოფლებთან დამაკავშირებელი გზების აღდგენა-რეაბილიტაცია, ბაგა-ბაღების, ადმინისტრაციული შენობების შეკეთება, წყალმომარაგების სისტემის გამართვა-მოწესრიგება; მოხდება სოფელ სამრეკლოში არსებული ე. წ.,, ქოჩების ტბის“ ტერიტორიის დასუფთავება და მოწყობა, შემდგომში მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით სასტუმროების, რესტორნების და შესაბამისი ინფრასტუქტურის მოწყობის პერსპექტივით (ამ პროექტისთვის გათვალისწინებულია 5 მილიონი ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

2013 წელს კულტურის სფეროს დაფინანსებაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 894, 2 ათასი, გაიხარჯა 785, 5 ათასი ლარი, აქედან: 20. 0 ათასი ლარი მოხმარდა სპორტული დარბაზების და მოედნების მშენებლობას, 142, 0 ათასი ლარი -სპორტულ ღონისძიებებს, 98, 3 ათასი ლარი -კულტურულ ღონისძიებებს .

ხელოვნების სკოლა დაფინანსდა 119, 3 ათასი ლარით, გაიხარჯა 93, 6 ათასი ლარი, მათ შორის სარემონტო სამუშაოებზე - 23, 8 ათასი ლარი.

განათლების და სკოლამდელი აღზრდის სფერო დაფინანსდა 1. 036, 6 ათასი ლარით, ათვისებული იქნა 774, 2 ათასი ლარი, აქედან ბაღის შენობების რემონტზე გაიხარჯა 282, 8 ათასი ლარი.

კულტურისა და სპორტის ცენტრი /დირექტორი ნინო ბახუტაშვილი/.

2013 წელს ცენტრის საქმიანობა გამოირჩეოდა აქტიური შემოქმედებითი მუშაობითა და სპორტული წარმატებებით. შეძენილ იქნა განათებისა და გახმოვანების ახალი აპარატურა, ხალხური საკრავები ფოლკლორული ანსამბლებისთვის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კულტურისა და სპორტის ცენტრს საჩუქრად გადასცა კინო-თეატრი, რომელიც დამონტაჟდა ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, რომელის იერ-სახე გარეგნულადაც შეიცვალა. შერემონტდა შენობის ჭერი, გარე ფასადი და გამოიცვალა ფანჯრები. მოეწყო შიდა ინტერიერიც: შეძენილ იქნა,, ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა, ინვენტარი.

2013 წლის ივნისში, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ფუნქციონირება დაიწყო ახალგაზრდულმა თეატრმა,, ბერიკონი“ (ხელმძღვანელი ცარო მარტიაშვილი);

საბიბლიოთეკო გაერთიანებაში მოხდა წიგნადი ფონდის განახლება. მაკულატურის საანაცვლოდ, შპს,, მწვანე ციკლიდან“ შემოტანილ იქნა 1264 ლარის 116 ცალი წიგნი, ხოლო 2014 წელს 208 ლარის ღირებულების 13 წიგნი. კავკასიური სახლიდან 3 433 ლარის 445 ცალი წიგნი. სოფელ ხორნაბუჯის ბიბჭლიოთეკა №28 გადავიდა ახალ შენობაში, ხოლო სოფელ ზემო ქედის №17 ბიბლიოთეკა-კულტურის სახლის შენობაში.

2013 წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, მათ შორის, ახალგაზრდობის ესთეტიკურ-შემეცნებითი აღზრდა-განვითარების მიზნით, ჩატარდა უამრავი კულტურული ღონისძიება, კერძოდ: 7 იანვარს ქ. დედოფლისწყაროში მოეწყო,, ალილოს“ საშობაო მსვლელობა; ქალთა საერთაშორისო დღეს და დედის დღეს მიეძღვნა სადღესასწაულო კონცერტი,, დედავ, სიცოცხლის დიდო საწყისო“, სადაც მონაწილეობა მიიღო კულტურის სახლის მხატვრულმა და თვითმოქმედმა კოლექტივებმა, მოწვეულები იყვნენ ქ. დედოფლისწყაროში მცხოვრები მრავალშვილიანი დედები; სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლში მოეწყო შეხვედრა მრავალშვილიან დედებთან; 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, გვირგვინებით იქნა შემკობილი 9 აპრილის მემორიალი; 14 აპრილს, სოფ. ზემო ქედის კულტურის სახლში, გაიმართა ქართული ხალხური პოეზიის საღამო-,, ლექსო, ნუ დაიკარგები“, რომელიც მიეძღვნა ქედელი მოლექსეების ხსოვნას; ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან ერთად გვირგვინებით იქნა შემკობილი დიდების მემორიალი. კულტურის სახლში გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი; 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს ცენტრალურ ქუჩაზე ჩატარდა სახალხო დღესასწაული-პურის, ღვინისა და ფოლკლორის ფესტივალი. დასასრულს გაიმართა კონცერტი. საბავშვო სტუდია,, არლეკინო“მ,,, ნინოობის“დღესასწაულს მიუძღვნა თეატრალიზებული საღამო-,, ვარდისფერი სამყარო“, სტუდიის აღსაზრდელების მონაწილეობით; 2013 წელს, დაარსებიდან 5 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა,, მანდილი“, ჩაატარა საიუბილეო კონცერტი; 2013 წელს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული თეატრი-სტუდია,, ბერიკონი“. 27 ივნისს მათი მონაწილეობით შედგა პრემიერა, ვაჟა-ფშაველას პოემა სტუმარ-მასპინძელის მიხედვით; ხალხური სიმღერის ვაჟთა გუნდმა-,, ხორნაბუჯმა“ (ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე), არტგენის ზონალურ და რესპუბლიკურ ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა; 1 აგვისტოს ჩატარდა სახალხო დღესასწაული,, ჩემი დედოფლისწყარო -2013“, სადაც გაიმართა ხალხური ოსტატებისა და თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, სტუდია,, გუთნის“ მიერ გადაღებული ფილმის-,, მიწის სჯული“ პრეზენტაცია. დასასრულს გაიმართა გალა-კონცერტი; ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სტუდია,, არლეკინოს“ აღსასზრდელების და,, ნევერლენდის“ თოჯინების მონაწილეობით ჩატარდა ცოდნის დღესასწაული; 10 ოქტომბერს, ხელოვნების სკოლის დარბაზში გაიმართა ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრის, მწერალ ჯემალ მეხრიშვილის შემოქმედებითი საღამო; 19 ოქტომბერს, სოფელ მირზაანში ჩატარდა ხელოვნების დღესასწაული,, ფიროსმანობა“. სადღესასწაულო კონცერტი მიეძღვნა ჰამლეტ გონაშვილის დაბადების 100 წლისთავს; 2013 წლის განმავლობაში, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩატარდა რამოდენიმე საქველმოქმედო საღამო. ღონისძიებებიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა სოფლების-გამარჯვების, სამთაწყაროსა და ზემო ქედის ეკლესიების მშენებლობის ფონდში; 2013 წელს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიულ შენობაშია განთავსებული, შეგროვებითი სამუშაოების შედეგად, მუზეუმის ძირითადი ფონდი გაიზარდა 100 ექსპონატით. მოწესრიგდა ფონდსაცავი, გაკეთდა ფოტო-მასალების დარგობრივი აღრიცხვა, პასპორტების, სამეცნიერო ბარათების შევსება; ფონდებში დაცული მასალების გამოყენებით დამუშავდა სამეცნიერო საბჭოზე განსახილველი თემები; თებერვალში, მუზეუმმა უმასპინძლა ახალგაზრდა, თვითნასწავლი მხატვრის -ბელა ლობჯანიძის პერსონალურ გამოფენას; 10 აპრილს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრის, შესანიშნავი პედაგოგისა და მხატვრის ხვთისო ბიკაშვილის ხსოვნის საღამო; ივნისში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ ფარნაოზ ლაპიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას; ივლისში მოეწყო შეხვედრა ამჟამად გერმანიაში მცხოვრებ თანამემამულესთან, პოეტ ირმა შიოლაშვილთან; ნოემბერში დიასპორის დღეებთან დაკავშირებით, მუზეუმში ჩატარდა ამჟამად საბერძნეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის დოდო გორელაშვილის წიგნის პრეზენტაცია; 12 მარტს დაფუძნდა ახალგაზრდული კლუბი „გორდა“; 29 მაისს, ახალი ტალანტების წარმოჩენის, პოპულარიზაციის და მათი კულტურულ ღონისძიებებში შემდგომი მონაწილეობის მიზნით, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე, გაიმართა შესარჩევი ქასთინგი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის; 12 ივნისს, სოფელ ოზაანში, „ამაღლების“ ტაძრის ტერიტორიაზე, ახალგაზრდებმა დასუფთავების აქცია მოაწყეს; 10 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებული ახალგაზრდული კლუბის—„გორდა“-ს წევრებმა გასვლითი სემინარი მოაწყეს „არნივის ხეობაში“. სემინარი გარემოს დანაგვიანების პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს მიეძღვნა. 31 ივლისს, ელიაობის დღესასწაულთან დაკავშირებით, კლუბის—„ გორდა“-ს წევრებმა, წმინდა ელია თეზბიტელის ტაძარი დაასუფთავეს.

დიდი მიღწევები იყო სპორტში. ქალაქ დედოფლისწყაროში გაიხსნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე სპორტული ინვენტარით, ხოლო სოფელ არხილოსკალოში საზეიმოდ გაიხსნა ქართული საჭიდაო არენა. ყველა სპორტული გუნდისთვის შეძენილ იქნა სპორტული ფორმები და ინვენტარი. აღსანიშნავია ჩვენი სპორტსმენების მიღწევები და წარმატებები, კერძოდ: 2013 წლის ივნისში ქალაქ ტალინში გამართულ ევროპის პირველობაზე, ძიუდოისტმა მარიამ ჯანაშვილმა მოიპოვა ოქროს მედალი; აგვისტოში, ქალაქ მაიამში გამართულ მსოფლიო პირველობაზე, -ძიუდოში, დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა, გუნდურში დაიკავეს მესამე ადგილი;ქალაქ ხარკოვში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე-ძიუდოში, ნიკა კობაიძემ დაიკავა პირველი ადგილი; კიკ-ბოქსინგელი ხვიჩა ქოქუაშვილი, ქალაქ ანტალიაში, გახდა მსოფლიო ჩემპიონი და დაჯილდოვდა ოქროს მედლით; 2014 წლის მაისში, ქალაქ ბაქოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე-მკლავჭიდში, გელა ბექაურმა დაიკავა მესამე ადგილი(მემარჯვენეთა შორის), ხოლო ლადო ხუციშვილმა-მეორე ადგილი(მემარჯვენეთა შორის) და მესამე ადგილი მემარცხენეთა შორის.

მომავალში დაგეგმილია ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სასცენო ჩაცმულობის განახლება, სოფლების კულტურის სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობა და აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით. საბიბლიოთეკო გაერთიანებისთვის ახალი შენობის გამოყოფა და აღჭურვა ახალი ინვენტარითა და ტექნიკით.

შიდა ინტერიერი

სულ ახლახანს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით, ჩატარდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბების თამაშები. პირველ ადგილზე გასული გუნდები და მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით, ხოლო ფინალში გასული სამი გუნდი, გამგეობის სპონსორობით, გაიგზავნა ექსკურსიაზე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში.

სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი/დირექტორი მაია ყოჩიაშვილი/

სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრში გაერთიანებულია 17 სკოლამდელი საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი და 1 სკოლისგარეშე მოაწავლე-ახალგაზრდობის სახლი . 2013 წლის იანვრის თვეში ბავშვთა რაოდენობა სიით შეადგენდა 560 ბავშვს, აქედან 150 ბავშვი სოციალურად დაუცველი იყო. გადასახადიდან განთავისუფლებულ ბავშვთა კატეგორიებს მიეკუთვნებოდნენ: 1. ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვები 2. მარტოხელა დედა 3. სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები (ქულების მიხედვით) 4. მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები 5. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული, დაჭრილი ან დევნილი ოჯახის ბავშვები. სულ გადასახადისგან განთავისუფლებული იყო 115 ბავშვი. იანვრის თვეში ბავშვთა საშუალო გამტარიანობამ შეადგინა 309 ბავშვი, მშობელთა გადასახადმა კი - 1504 ლარი. შეიცვალა კვების მენიუ. დაემატა საქონლის ხორცი, ბოსტნეულის წვნიანი, კვერცხი, კისელი, კაკაო. კვება უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანი გახდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №3 განკარგულებით მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებსა და ბაგა ბაღებში 2013 წლის 1 თებერვლიდან გაუქმდა ბავშვთა გადასახადი (10ლარი), რამაც გამოიწვია საბავშვო ბაღებში ბავშვთა რაოდენობის გაზრდა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სამსახურების დახმარებით სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გარემონტდა მუნიციპალიტეტის 7 ბაღი შემდეგ სოფლებში: მირზაანის, მაჩხაანის, ოზაანის, სამრეკლოს, ზემო ქედის №1 და ზემო ქედის №2, ქვემო ქედის საბავშვო ბაღები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით გარემონტდა სოფელ სამთაწყაროს ბაგა-ბაღი, ასევე, შეძენილ იქნა შენობა ზემო ქედის №2 ბაღისთვის, რომელიც 1990-იანი წლებიდან ნაქირავებ ბინაში იყო განთავსებული.

2013 — 2014 სასწავლო წლისთვის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში სიით ირიცხებოდა 800 ბავშვი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ქალაქ დედოფლისწყაროს № 1, №2, №3 და №4 საბავშვო ბაღებში(ბაგა-ბაღებში) 1ოქტომბრიდან, მოძიებულ ბავშვთა რაოდენობის შესაბამის ფართზე დაიწყო სამშენებლო -სარემონტო სამუშაოების ჩატარება. გაზიფიცირდა სოფლების: მირზაანის, არბოშიკის, ოზაანის საბავშვო ბაღები(ბაგა-ბაღები); დენის მიწოდება აღდგა: მირზაანის, ოზაანის, დ/წყაროს №4, ზ/ქედის №1, ზ/ქედის №2, არხილოსკალოს, ქვ/ქედის, სამთაწყაროს და ფიროსმანის საბავშვო ბაღებსა და ბაგა ბაღებში;

სოფლების: მაჩხაანის, მირზაანის, ოზაანის, გამარჯვების, ზ/ქედის №1, ზ/ქედის №2, არხილოსკალოს, ქვ/ქედის, სამთაწყაროს, ფიროსმანის და დედოფლისწყაროს №4 საბავშვო ბაღებისა და ბაგა ბაღებისთვის შეძენილ იქნა 11 მაცივარი თანხით -4620 ლარი, ხოლო სამრეკლოს, ოზაანის, არბოშიკის, დ/წყაროს №2 ბაღებისთვის (ბაგა-ბაღებისთვის) -გაზჭურები თანხით - 260 ლარი, სოფელ

(გაგრძელება გვ.5)

ოცნებიდან - რეალობამდე

(მეოთხე გვერდიდან)

ფიროსმანის საბავშვო ბაღისთვის - ელექტროღუმელი, (100 ლარი), 10 საბავშვო ბაღში (დ/წყაროს №1, №2, №3, №4, სამრეკლოს, ხორნაბუჯის, მირზაანის, ზ/ქედის №2, არხილოსკალოს, ფიროსმანის საბავშვო ბაღებში (ბაგა-ბაღებში) მოძველებული სასწორები შეიცვალა ელექტრო სასწორებით, -თანხით-470 ლარი, სოფ. არხილისკალოს ბ/ბაღისთვის შეძენილ იქნა 2ც. წყლის ტუმბო (126 ლარი), სოფ. გამარჯვების ს/ბაღისთვის-წყლის მრიცხველი(35 ლარი), ბავშვთა მოძველებული ლოგინის ნაწილი შეიცვალა ახლით, (ლეიბი-23 ც. საბანი-66 ც, ადიელა-262 ც.) -4985 ლარის. საჭიროებისამებრ, ყველა საბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღისთვის შეძენილ იქნა: საჭირო ჭურჭელი - თანხით 4358 ლარი; 12805 ლარის ღირებულების ავეჯი: ბავშვის მაგიდა, სკამი, ღია კარადა (თარო) თვალსაჩინოებისთვის, ტანსაცმლის კარადა, მასწავლებლის მაგიდა, მასწავლებლის სკამი, საწოლი - ბავშვთა რაოდენობის შესაბამისად, თითქმის ყველა საბავშვო ბაღისთვის; ახალი სასწავლო წლისთვის, ასევე, შეძენილ იქნა: მრავალფეროვანი სათამაშოები, როგორც ბაგის, ისე ბაღის ასაკის ბავშვებისთვის, თანხით - 3000 ლარი, ასევე, მეთოდური სახელმძღვანელოები (სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა) 517 ლარის. მთელი წლის განმავლობაში, ეტაპობრივად მუნიციპალიტეტის ყველა ბაღი უზრუნველყოფილი იყო სამეურნეო საქონლით: (საწმენდი, საპრიალებელი და პირადი ჰიგიენის ნივთები)თანხით - 2856 ლარი და 3600 ლარის საკანცელარიო საქონლით, რამდენიმე საბავშვო ბაღის იატაკის, კარ-ფანჯრისა და მესერის შესაღებად შეძენილ იქნა 830 ლარის საღებავები.

2013 წლის დეკემბრის თვეში საახალწლო ღონისძიებისთვის 12 საბავშვო ბაღისთვის (ბაგა-ბაღისთვის) შეძენილ იქნა ნაძვის ხეები - 881 ლარის, ასევე, შეძენილ იქნა ტკბილეული და 590 ბავშვს გადაეცა 3737 ლარის ღირებულების საახალწლო საჩუქრები; ქ. დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღების 250 აღსაზრდელისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანადგომით, ასევე, კულტურის სამსახურის ხელშეწყობით, ახლად გახსნილ სპორტის ცენტრში მოეწყო საახალწლო ღონისძიება და ბავშვებს გადაეცათ კულტურის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი,, ბარამბოს“ ტკბილეული.

დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 7 სახის წრე: მათემატიკის, კომპიუტერის, ქართულის, ინგლისურის, ინტელექტუალური, ნორჩ შემოქმედთა მხატრული კითხვის, დაემატა სიმღერის. ტრადიციული ხელსაქმის წრე; გამრავალფეროვნდა შემეცნებითი ღონისძიებები. ამ წრეებში გაერთიანებულია 159 მოსწავლე-ახალგაზრდა. აქედან 10 სოციალურად დაუცველია და 5 ეთნიკურ უმცირესობას მიეკუთვნება. 2013 წლიდან ყველა წრე უფასო გახდა. აქ გამართულ ღონისძიებებში კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეა ჩართული. 100-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა ინტელექტუალურ კონკურსში რა, სად, როდის?, რომელიც 3 შესარჩევ ტურად და მეოთხე, ფინალურ ტურად ჩატარდა. გამარჯვებულები სიგელებით და პრიზებით დაჯილდოვდნენ. ჩატარდა მასწავლებლის, ქალთა, დედის, სიყვარულის, დედამინის და დედაენის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, სადაც 130-ზე მეტმა ბავშმა მიიღო მონაწილეობა. მოეწყო ტრადიციული ხელსაქმის წრის ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა. წლის ბოლოს კი ინგლისური ენის წრის ბავშვებმა ინგლისურად წარმოადგინეს ნასწავლი პროგრამა.

2013 წელს დ. წყაროს მოსწავლეახალგაზრდობის სახლს და დირექტორს ირმა ბენაშვილს აქტიური საქმიანობისთვის და სსიპ საქართველოს მოსწავლეახალგაზრდობის ეროვნული სახლის“ტელე-რადიო ჟურნალისტიკა” კურსების დახმარებისთვის, გადაეცა მადლობის ფურცელი,

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისთვის შეძენილ იქნა 1231 ლარის, კომპიუტერული ტექნიკა, შეყვანილი იქნა ინტერნეტი, დაიდგა ტელეფონი.

მიმდინარე წელს მოსწავლეახალგაზრდობის სახლმა მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა 68-ე შემოქმედებით კონფერენციაში, სადაც მოიპოვა 10 პირველი ხარისხის და 23 მეორე ხარისხის დიპლომი, ხოლო 22-მა ბავშვმა მონაწილეობისთვის დაიმსახურა სიგელი, მადლობის ფურცლები გადაეცათ პედაგოგებს.

ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიებები:,, ყველაზე ჭკვიანი“,,, რა, სად, როდის?“, ასევე მოეწყო ლაშქრობა, ტრადიციული ხელსაქმის წრის ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, ჩატარდა საუბრების ციკლი რელიგიურ თემებზე დასხვადასხვა თემატური ღონისძიებები.

დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი ზრუნავს აღსაზრდელის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ყველა პირობას უქმნის ბავშვს ფიზიკური, კოგნიტური, სენსონური და ემოციური განვითარებისათვის. წაახალისებს მშობლების ჩართულობას საგანმანათლებლი სფეროში, ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინკლუზიის პროცესს. უზრუნველყოფს განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და განხორციელებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. მეთოდოლოგიად გამოყენებულია თემატური სწავლება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდი, სახელმძღვანელოში თავმოყრილი აქტივობები ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული და ემოციური ზრდის ხელშეწყობასაც.

ხელოვნების სკოლა /დირექტორი მარიამ კიკილაშვილი/

2013 წლს შეფერხებებით დაიწყო სასწავლო პროცესი, რაც სარემონტო სამუშაოებმა გამოინვია, თუმცა ეს, თავისთავად, სასიკეთო ძვრად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან წლების განმავლობაში მზრუნველობას იყო მოკლებული ხელოვნების სკოლა. მოხერხდა რამდენიმე კლასის დათბუნება, სადაც ჩატარდა შესწავლილი ნაწარმოებების ჩათვლები. სარემონტო სამუშაოების შედეგად შეიცვალა ფანჯრები, შეკეთდა საკონცერტო დარბაზის ჭერი, მოეწყო ცენტრალური გათბობა, შეიღება და განახლდა შენობის ფასადი. სარემონტო სამუშაოები 2014 წელსაც გაგრძელდება, დაგეგმილია სკოლის შიდარემონტი. ასე, რომ დავიწყებას მიეცა შეშის ღუმელები და პედაგოგთა მურიანი ხელები. მომავალი სასწავლო წლიდან ბავშვებს და პედაგოგებს მოუნევთ სუფთა, ესთეტიკურად სასიამოვნო გარემოში მოღვაწეობა.

ლიტერატურის გაკვეთილებისთვის შეძენილ იქნა DVD ფლეიერები და ხმის გამაძლიერებლები (დედოფლისწყაროს, ზემო ქედის და არბოშიკისთვის), ასევე, პიანინო,, როინინში“, საჩუქრად გადაეცათ სამი ვიოლინო. მიმდინარე წელს დაგეგმილია ახალი აპარატურის: 2 ელექტროპიანოს, პროექტორის, ეკრანის, ლეპტოპის, მიკროფონების (ვოკალის და სასაუბრო), ხმის გამაძლიერებლების შეძენა, ფული უკვე ჩაერიცხა სკოლას და უახლოეს დღეებში, სპეცმაღაზიებში სასურველი აპარატურის გამოჩენისთანავე მოხდება მისი შეძენა. ცენტრალური გათბობის წყალობით, შენობაში დაცული იქნება ტემპერატურული რეჟიმი, რაც ინსტრუმენტების შენახვის პირობებს სრულად დააკმაყოფილებს.

2013 წლის 16 თებერვალს ხელოვნების სკოლის დირექციამ მოაწყო ექსკურსია ქ. თბილისში, სადაც ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა ნახეს: გრიბოედოვის თეატრში ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასის მონაწილეობით. ასევე, დაათვალიერეს სსიპ ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი. გადაღებული სამახსოვრო ფოტოებით სკოლაში მოაწყეს ფოტო კოლაჟი.

2013 წლის 16 აპრილს ჩატარდა კონკურსი თბილისში, რომელიც მოაწყო საერთაშორისო ფონდი,, ახალი სახელები-საქართველო“-მ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელმა პროფესიულმა კავშირმა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს: მე-2 კლასის მოსწავლემ აბრაამ ახალაურმა - პედაგოგი ნ. ნიკვაშვილი და მე-4 კლასის მოსწავლემ ლუკა ქისტაურმა პედ. მ. კიკილაშვილი, (დაჯილდოვდნენ დიპლომით); მე-3 კლასის მოსწავლე ლიანა გიგოლაშვილი პედ. ლ. ხაჩიაშვილი და მე-4 კლასის მოსწავლე სალომე სიმონიძე პედ. ლ. ხაჩიაშვილი(დაჯილდოვდნენ დიპლომით); მე-4 კლასის მოსწავლე მარიამ ლაპიაშვილი (დაჯილდოვდა სიგელით) პედ. მ. კიკილაშვილი. მე-5 კლასის მოსწავლე მალვინა ისმაილოვა - პედ. ნ. ლაპიაშვილი, დაჯილდოვდა საპატიო სიგელით და მე-2 ადგილით, 19 აპრილს კი მონაწილეობა მიიღო საკონცერტო დარბაზ,, მუზაში“ გამართულ გალა კონცერტში. გასულ სასწავლო წელში 30- მდე კონცერტი და საღამო ჩატარდა ხელოვნების სკოლაში.

აღსანიშნავია, რომ შეიცვალა მეთოდოლოგიური მიდგომები სასწავლო პროცესის მიმართ, დაიხვენა მუსიკის ლიტერატურის სწავლება, ბავშვებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, მოისმინონ მსოფლიოს შედევრები, ახალი აპარატურის გამოყენებით კი პირდაპირ ეზოში, ღია ცის ქვეშ ჩაატარონ გასვლითი კონცერტები.

შეიცვალა სახელმწიფოს ხედვა ხელოვნების სკოლების მიმართულებით, იგრძნობა კულტურის სამინისტროს ზრუნვა, იგი სთავაზობს სკოლას მემორანდუმს, რის შემდეგაც მას მიეცემა უფლება განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებისთვის ჰყავდეს მე-7, მე-9 კლასი, ოღონდ ატესტატს გასცემს სამინისტრო. 9 კლასდამთავრებულები შეძლებენ სწავლას გააგრძელებას თორმეტწლედში(ახლანდელი ათწლედი), რაც შესაძლებლობას მისცემთ, ჩააბარონ კონსერვატორიაში.

სკოლაში მიმდინარეობს სწავლების საპილოტე პროგრამა, რომელიც მოწონებული იქნა კონსერვატორიის კათედრაზე და კულტურის სამინისტროს მეთოდურ კაბინეტში. სწავლება მორგებულია ბავშვის შესაძლებლობებზე, რაც გულისხმობს განსაკუთრებული ნიჭის მქონეთა ინდივიდუალურ სწავლებას, ხოლო შედარებით ნაკლები შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის - ჯგუფურ სწავლებას. სკოლაში არის შემოქმედებითი გამოფხიზლება, თუ სკოლა ვალდებულია, რომ წლის ბოლოს წარადგინოს ერთი აკადემიური კონცერტი, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს სკოლა 5 კონცერტს წარადგენს.

ექსკლუზივი:

დაფუძნდა ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ,,ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა“.

ფოლკლორის სკოლის შექმნის წინაპირობა დედოფლისწყაროში მოღვაწე მუსიკოსების დამსახურებაა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის ქ-ნ თამარ თამაზაშვილის მონდომება, რომელმაც ბევრი იღვაწა იმისთვის, რომ ეს სკოლა შექმნილიყო და გაგრძელებულიყო ის დიდი საქმე, რომელიც 90-იან წლებში ქალბატონ დალი ელისაშვილის თავდაუზოგავი შრომით დაიწყო, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დედოფლისწყაროში, უკვე წლებია, ჩამოყალიბდა და წარმატებულად ფუნქციონირებს კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებული ბიჭუნათა და გოგონათა ხალხური სიმღერის გუნდები (ამაში, ასევე დიდი წვლილი მიუძღვის მაშინდელ ხელმძღვანელს, ქ-ნ ნელი გობეჯიშვილს). სწორედ ქალბატონ დალისთან დაეუფლნენ ქართულ საგალობლებს ის ბიჭუნები, რომლებიც დღეს ფოლკლორის სკოლის პირველი მსმენელები არიან. სკოლას სათავეში ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე სოფიო მაჭარაშვილი ჩაუდგა. სპეციალურ საგნებს კი გამოცდილი სპეციალისტები, მათ შორის ხელოვნების სკოლის პედაგოგები: მარიკა მგელიაშვილი, ნინო მანჯაფარაშვილი, გელა გველუკაშვილი, ჯულიეტა პოპიაშვილი, მარიამ კიკილაშვილი და სხვები შეასწავლიან. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ სკოლის დაფინანსებისთვის 39, 0 ათასი ლარი გამოყო. ამგვარი სკოლები სხვა რაიონებში უკვე არსებობენ 2010 წლიდან. აქ სწავლება ორწლიანია, ეს არის მოსამზადებელი ეტაპი სალოტბარო უმაღლესი სასწავლებლისთვის, რომელთანაც გაფორმდება მემორანდუმი. სკოლას მეთოდურ დახმარებას გაუწევენ ცნობილი მომღერალი და მუსიკოსი თამარ ჭოხონელიძე და ანსამბლ,, შავნაბადას“ ხელმძღვანელი დავით ცინცაძე. ასე, რომ კურსდამთავრებულებს, თუ სალოტბარო მიმართულებით ენდომებათ სწავლის გაგრძელება, ამის სრული შესაძლებლობა მიეცემათ. ამ საქმიანობით ქვეყანაში სალოტბარო უმაღლესი სკოლის ტრადიციის გაგრძელებას ჩაეყარა საფუძველი.

ჯანდაცვა და სოციალური სფერო

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების პროგრამების დაფინანსებისთვის 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 549, 6 ათასი ლარი, მათ შორის ჯანდაცვის პროგრამებზე გაიხარჯა 77, 1 ათასი ლარი, სათნოების სახლის დაფინანსებაზე - 170, 0 ლარი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების პროგრამებზე - 286, 0 ათასი ლარი;

მიმდინარე, 2014 წელს მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამები დაფინანსებულია 585, 1 ათასი ლარით, აქედან, ჯანდაცვის პროგრამებზე გათვალისწინებული 91, 1 ათასი ლარიდან ოთხ თვეში გახარჯულია 28, 4 ათასი ლარი, ხოლო სოციალურად დაუცველთა პროგრამებზე დაგეგმილი 231, 0 ლარიდან გახარჯულია 137, 7 ლარი, მათ შორის 80 ათასი ლარი- გათბობის მიზნით (შეშის შესაძენად)

უახლოეს მომავალში გადაიჭრება საავადმყოფოს პრობლემა. ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში გაიხსნება უახლესი, თანამედროვე აპარატურით (აპარატურა უკვე შემოტანილია) აღჭურვილი ახალი საავადმყოფო. რომელზეც 3 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

2013 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საერათაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის კუთხით, კერძოდ:

- მალე დასრულდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი -,, ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით სამხრეთ კავკასიაში“. პროექტს ახორციელებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია,, მერსი ქორფი“(Mersi Corpy). ამ პროგრამის ფარგლებში, დედოფლისწყაროში განხორციელდა 2 საპილოტე პროექტი: ქარსაცავის გაშენების(სოფელი ოზაანი) და ხობების მოშენების (ვაშლოვანის დაცული ტერიტორია) მიმართულებით. მომზადდა სახელმძღვანელო ,,დედოფლისწყაროს მუნიცი-

(გაგრძელება გვ.5)

ოცნებიდან - რეალობამდე

(მეხუთე გვერდიდან)

პალიტეტის კლიმატის ცვლილების და კატასტროფების რისკების შემცირების საადაპტაციო გეგმა“, რომელშიც კარგადაა წარმოჩენილი ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები და სამომავლო საფრთხეები, ასევე - პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

- CENN-ის(კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი) მიერ, ევროკავშირის დაფინანსებით, სოფელ სამთაწყაროში, განხორციელდა 7000 ევროს ღირებულების პროექტი - ,,ძლიერი სოფელი-მოქნილი მმართველობა“. პროექტის ფარგლებში, დაფუძნდა ადგილობრივ მცირე ფერმერთა ასოციაცია,, სოფლის ბარაქა“. გაკეთდა ორი სათბური, ბოსტნეული კულტურების ჩითილების და მწვანილეულის გამოსაყვანად და დამონტაჟდა 2 წვეთოვანი სარწყავი სისტემა. ეტაპობრივად ჩატარდება სხვა სამუშაოებიც, მოხდა მრავალფუნქციური მცირე ტექნიკის-მოტობლოკის და სხვა საჭირო მოწყობილობების და ბიოპრეპარატების, ასევე, 2 ცალი ჰელიო წყლის გამაცხელებლის და 5 ც ჰელიო პროჟექტორის შეძენა და მისი დემონსტრირება სახლში, სათბურში, ფერმაში, ამბულატორიასა და სხვადასხვა ადგილებში. ადგილზე, პროექტში მონწეული ექსპერტის მიერ, დაინტერესებული პირებისთვის, ჩატარდა ტრენინგი და პრაქტიკული სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება საკუთრებაში გადაეცა ასოციაციის წევრებს. ამავე პროექტის ფარგლებში, ორგანიზება გაუკეთდა სამთაწყაროს და ფიროსმანის ასოციაციის თავმჯდომარეთა ჩართვას ბულაჩაურში გამართულ ვორკშოპში(სამუშაო შეხვედრა), რომელზეც დამუშავდა სამომავლო ხედვები . ჩენნ-ის მიერ ალაზნისპირა სოფლებში განხორციელებული პროექტების (ანალოგიური პროექტი განვახორციელეთ სოფელ ფიროსმანში 2012 წელს) დახმარებით, გამოვლინდა, რომ ასოციაციების საშუალებით, მცირე საოჯახო მეურნეობების კოოპერირებით, შესაძლებელია სოფლების განვითარება კოოპერაციული მიმართულებით, რისთვისაც საჭიროა დარგობრივი (მეხილეობა, მებოსტნეობა, მეევნახეობა) კოოპერატივების შექმნა და პრივატიზებული 1, 25 ჰა ნაკვეთების გამსხვილებით, სამეურნეო საქმიანობის კოოპერაციული მიმართულებით განვითარება, რასაც მოჰყვება მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა და სოფლების გაძლიერება. მიგრაციის პროცესის შეჩერება.

2012წელს, ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, საქართველოში დაიწყო პროგრამის,, ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში“-განხორციელება. პროექტი ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციების :ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის (FIU), იუნესკოს ჰიდროლოგიური განათლების ინსტიტუტის(UNESCO-IHE), ქეა ინთერნეიშენალის(ჩAღE Iნტერნაციონალ), ვინროკ ინთერნეიშენალის(WI), კავკასიის გარემოსდაცვითი არარასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის(CENN) მიერ. პროგრამის მიზანია საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლის, მინის, მცენარეული საფარისა და ეკოსისტემების, მდგრადი გამოყენებისა და მართვის გზით. ამ მიზნით გათვალისწინებულია პრაქტიკული მოდელების დანერგვა, ადგილობრივი თემებისა და მთავრობის გაძლიერება მართვის ისეთი მექანიზმების დანერგვის გზით, რომლის საშუალებითაც სოფლის მოსახლეობა შეძლებდა თავისი ყოფის გაუმჯობესებას. გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესების, კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობის შემცირების, ენერგოეფექტურობის ზრდისა და ზოგადად, თემების სოციალურ - ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით. მოხდა პროგრამის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება საზოგადოებრივი ცნობიერების ზრდის კამპანიის ჩასატარებლად. კერძოდ, სატრენინგო ფორმატში, თეორიული და პრაქტიკული სამუშაოების გამოყენებით, მოხდა ადგილობრივი თემების საინიციატიო ჯგუფების, ადგილობრივი თვითმმართველობის და სოფლების ტერიტორიული ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი სერთიფიკატების გაცემა, საგრანტო წინადადებების და განაცხადების მომზადება. ა. ბენაშვილი პირადად უწევდა ორგანიზებას ამ საქმიანობებს და მონაწილეობდა საპროექტო წინადადებების მომზადებაში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ორი საინიციატივო ჯგუფი, ორი სათემო ცენტრი სოფელ ფიროსმანსა და მირზაანში. მათი აქტიური მონაწილეობით დედოფლისწყაროში განხორციელდა სამი საპილოტე პროექტი:

1. - ,,სანიაღვრე სისტემის მოწყობა სოფელ მირზაანში“, რომელიც განახორციელა ახლადშექმნილმა მირზაანის სათემო ორგანიზაციამ აიპ “მირზაანი XXI”-მა და,, შპს,, სერვისი-2007“-მა (მუნიციპალიტეტის 16 000 ლარის თანადაფინანსებით) მიერ. სამუშაოები განხორციელდა სოფელ მირზაანის ცენტრალური გზის 500 მეტრიან მონაკვეთზე. ფონდიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 33 004, 1 ლარი. პროექტის მთლიანმა ღირებულებამ - 49 971, 7 ლარი;

2. - „სოფელ ფიროსმანის გასარწყავება წვეთოვანი რწყვის სისტემის გამოყენებით“ განახორციელა სათემო ორგანიზაციამ აიპ- „ფიროსმანი XXI“ -მა, პროექტის ღირებულებამ, ფონდის 100%-იანი დაფინანსებით, შეადგინა 23 768 ლარი. სისტემის 150 კომპლექტი გადაეცა 150-ივე კომლს, თითოეულს 150 კვ. მ. ფართობის საკარმიდამო ნაკვეთის გასარწყავებისთვის.

3. -,, მზის ენერგიის გამოყენება შირაქის დასახლების ელექტრომომარაგებისთვის“, განახორციელა საინიციატივო ჯგუფმა, ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციასთან-,, მზის სახლთან“ ერთად. სოფელ ზემო ქედის შირაქის დასახლებაში მცხოვრებ ცხრავე ოჯახს დაუმონტაჟდა (თითეულს 1500$-ს ღირებულების), მზის ენერგობატარიები და გადაიჭრა უშუქობის 35 წლიანი პრობლემა(ეს დასახლება დარჩენილი იყო ელექტროენერგიის გარეშე). პროექტის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 23 030, 1 ლარი.

- 2012 წლის ივლისიდან შვეიცარიული ორგანიზაცია „HEKS EPERS” და „HELVETAS“ კახეთის რეგიონში—საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ახორციელებს პროექტს „MOLI კახეთი“. პროექტის საბოლოო მოსარგებლეები არიან მცირე და საშუალო ფერმერები.

პროექტის ხანგრძლივობაა: 3 წელი და 4 თვე (2012 წლის ივლისი - 2015 წლის ოქტომბერი). პროექტის მიმართულებებია:

- საქონლის ჯანმრთელობა და ჯიში;
- საქონლის გაუმჯობესებული კვება;
- რძის გადამამუშავებელი საწარმოების მოდერნიზაცია და სანიტარული ნორმების დაცვა;
- მმართველობა და ადვოკატირება: მეცხოველეობაში ჩართული ბიზნესებისა და შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების ურთიერთობის ხელშეწყობა.

პროექტის „MOLI კახეთი“ ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შეირჩნენ ადგილობრივი ბიზნესების წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები, სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები, რომელთაც ტრენინგები ჩაუტარდათ ისეთ თემებზე, როგორიცაა მეცხოველეობაში ჩართული ბიზნესმენებისა და შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების ურთიერთობის ხელშეწყობა, მმართველობა და ადვოკატირება.

ადგილობრივმა საჯარო მოხელეებმა მიიღეს საჭირო კონსულტაციები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები; პროექტების მართვა და პრიორიტეტების განსაზღვრა; მოსახლეობასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა და მიზნები, მეთოდები და ფორმები. კონსულტაციების ერთ-ერთი კომპონენტი იყო ადგილობრივი ხელისუფლების უნარების გაძლიერება კარგი მმართველობის ხელშეწყობის მიზნით.

ტრენინგებს, „სამოქალაქო საზოგადოების კვლევისა და განვითარების ცენტრის“ წარმომადგენლები უძღვებოდნენ. ამ პროგრამის ფარგლებში, კერძო პირებს გადაეცათ 2000 ლარის ღირებულების საჭირო ინვენტარი ბიზნესის განვითარებისთვის.

პროექტის ფარგლებში გამოვლინდა მუნიციპალიტეტში ლაბორატორიის საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მსხვილფეხა პირუტყვის სისხლის გამოკვლევა. ამ მიზნით, HEKS_EPER შეიძინა სპეციალური ტესტერი, რომელიც მუნიციპალიტეტში გამოყენებისთვის, გადაეცა გამგეობის შპს,, სერვისი-2007”-ს.

2013 წელს CENN-მა (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი) პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აზერბაიჯანსა და სომხეთში სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში დაიწო რეგიონული პროექტის,, სტრუქტურული და მრავალმხრივი დიალოგის ჩამოყალიბება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ეკომიგრაციის სფეროს სისტემური რეფორმის ხელშეწყობისათვის“ განხორციელება. ინიციატივა ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. საქართველოს ტერიტორიაზე პროექტი ხორციელდება შემდეგ რეგიონებში: კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა—მთიანეთი და აჭარა. შესწავლის ობიექტია როგორც დონორი მუნიციპალიტეტები, ასევი მიმღები მუნიციპალიტეტები. კახეთის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტს შორის არის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, როგორც დონორი მუნიციპალიტეტი. პროექტის ინტერესის სფეროა აჭარელი ეკომიგრანტებით დასახლებული სოფლები: სამთაწყარო, ფიროსმანი და საბათლო. ბულაჩაურში უკვე ჩატარდა ერთი რეგიონალური შეხვედრა(საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) კვლევების შედეგების პრეზენტაციის მიზნით. ეკომიგრაციის კუთხით, კახეთში და კერძოდ, დედოფლისწყაროში არსებულ პრობლემებზე პრეზენტაცია გააკეთა ანა ბენაშვილმა, რის საფუძველზეც მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შემუშავება. აღნიშნული პროგრამა გრძელდება 2014 წელსაც. დაგეგმილია ტრენინგები და საპილოტე პროექტის განხორციელება. მოხდება ეკომიგრანტთა საარსებო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის შემუშავება, ეკომიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების პრიორეტიზაცია სახელმწიფოს დღის წესრგიში და სფეროში სისტემური რეფორმების განხორციელების ლობირება.

- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ჩართული იყო კახეთის მასშტაბით განხორციელებად პროექტში,, თემი და გარემო“, რომლის სატრენინგო კურსის(,, პროექტის წერა“,,, პროექტის მართვა, დონორის მოძიება და ფონდებთან ურთიერთობა“)დასრულების შემდეგ, დაიწერა კოალიციური პროექტი,, ქარსაცავების გაშენება-რეაბილიტაცია, საგარეჯოს დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში“ და გატანილ იქნა პრეზენტაციაზე. პროექტმა მოიწონება დაიმსახურა და გადაიგზავნა დონორებთან. მოძიებულ იქნა დონორიც. ეს არის ლიხტენშტაინის მთავრობა, კონკრეტული დამფინანსებელი კი ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროა.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2014 წელს. პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა მაის-ივნისის თვეში, სამუშაოებზე დასაქმდა 16 ადამიანი) და ტარიბანაში ფერმერ ბეჟან გონაშვილის ნაკვეთის მიმდებარე, დეგრადირებულ ქარსაცავში დაირგო 7 000 ნერგი(აკაცია), მეორე ეტაპზე, ოქტომბრის თვეში ჩანაცვლდება გამხმარი და დაირგვება დანარჩენი ნერგი. სულ გათვალისწინებულია 17 000 ძირი აკაციის ნერგის დარგვა.

- 2013 წელს, ა. ბენაშვილი, ადგილობრივი ექსპერტის სტატუსით, ჩაერთო გაეროს განვითარების პროგრამაში და კლიმატის ცვლილების ფორმატში, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროებთან ერთად, პროექტის -,, გაეროს მესამე ეროვნული შეტყობინების“- ფარგლებში, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციისთვის(კლიმატის ცვლილების შედეგების შესწავლა) ანგარიშის მომზადებასა და დედოფლისწყაროსთვის საპილოტე პროექტების მომზადებაში. 2014 წელს მომზადდა ორი საპროექტო წინადადება (საპილოტე პროექტებისთვის), ერთი- საძოვრების რებილიტაციაზე და მეორე- ტყის პლანტაციების გაშენებაზე. დონორთან წარსადგენად შეირჩა საპროექტო წინადადება საძოვრების რეაბილიტაციაზე.

P. S. -პროექტების ფარგლებში მომზადდა წიგნები, ბროშურები და სხვადასხვა თემატური სახელმძღვანელო დოკუმენტები;

-მუნიციპალიტეტში არსებული რესურსების შესაბამისად, კერძო ინვესტორებისთვის, მომზადდა საინვესტიციო წინადადებების პაკეტი.

ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობა:

-„ევრაზიის“განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - ,,ახალგაზრდული იდეა“, შექმნილი,, ახალგაზრდული ბანკის“ მესამე თაობის მიერ, მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობის ამაღლების მიზნით.

ამ პროექტს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ახორციელებს შვედეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

რაც შეეხება ახალგაზრდულ იდეას დედოფლისწყაროში, საქმიანობებს ახორციელებს უკვე მესამე თაობა. დედოფლისწყაროში2009 წელს დაიწყო და დღემდე სულ 5 საგრანტო ციკლი განხორციელდა, ჯამში 25 პროეექტზე მეტი დაფინანსდა.

პირველი ციკლის განხორციელება ამ ეტაპზე დამთავრებულია და მიმდინარეობს მეორე ციკლის განხორციელება. პირველ საპროექტო ციკლში დაფინანსდა 6 პროექტი და დღესდღეობით ყველას განხორციელება დასრულებულია.

პროექტი 1 სოფელ გამარჯვების სკოლის ახალგაზრდები -„ერთად ავიმაღლოთ განათლების დონე“

პროექტის ფარგლებში სკოლის ბიბლიოთეკა აღიჭურვა წიგნებით.

პროექტი 2 N2 საჯარო სკოლის ახალგაზრდები “განათლებული თაობა“

სკოლის ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნება. ლიტერატურული წიგნებით აღჭურვა.

პროექტი 3 N1 საჯარო სკოლის ახალგაზრდები პროექტი-„ჯანსაღი თაობა-ბედნიერი მომავლისთვის“

თანატოლ განმანათლებლებმა ჩაატარეს ტრენინგი ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვაზე და მოაწყეს რაიონის მასშტაბით შეჯიბრი ფრენბურთში;

პროექტი 4 სოფ. სამრეკლოს სკოლის ახალგაზრდები- „გამოფენა-გაყიდვა“

ახალგაზრდებმა ნახატები დახატეს, შემდეგ ჩასვეს ჩარჩოებში, მოაწყეს გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხით დაეხმარნენ გაჭრვებულ, მრავალშვილიან ოჯახს.

პროექტი 5 სოფელ გამარჯვების სკოლის ახალგაზრდები- „ჯანსაღი ცხოვრება“

სკოლა აღიჭურვა ტრენაჟორებით. სოფელში ხერხემლის გამრუდების პრობლემა აქვს 90 %, ეს მათ ხელს შეუწყობს გამოჯანმრთელებაში.

პროექტი 6 N2 საჯარო სკოლის ახალგაზრდები-„სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა“

სკოლის ტერიტორიაზე პროექტის ფარგლებში დაიდგა 5 გრძელი სკამი და მოხალისეობის საფუძველზე გაშენდა ბაღი.

„ჩვენ ვიწყებთ შენებას ახლის!“

ბავშვობა ერთი მშვენიერი ფილმია, რომელიც ადამიანის გონებაში ყველაზე სათნო, ლამაზ და ნათელ ფერებში ილექება. ეს არის ყველაზე ლაღი, უდარდელი და ტკბილი წლები, რომელიც არასოდეს ეძლევა დავიწყებას და მუდმივად გახსენებს თავს. თავდაპირველად ამ წლების მთელ ხიბლს ვერ ვხვდებით, მაგრამ, შემდეგ, რაც უფრო მეტად გემატება წლები, მით უფრო სიგიჟემდე გენატრება ბავშვობის ხანა, გენატრება უზრუნველი ცხოვრება, როცა არავინ და არაფერია შენი საფიქრალი, როცა მშობლების, ახლობლების, პედაგოგების და თანატოლების სიყვარული თუ მზრუნველობა არ გაკლია. ბავშვობა არის გონების მუდმივი წრთვნა, ცოდნის ფუნდამენტის ჩასხმის გაუთავებელი მცდელობა, რომელზეც შემდეგ უნდა დააშენო მეცნიერული და ღრმა ანალიტიკური ცოდნა, სწორედ ბავშვობაში ნასწავლის სიღრმეზეა დამყარებული შენი მომავალი გზა, რამდენადაც მყარია ცოდნის საფუძველი, მით უფრო ძლიერ ცოდნის სასახლეს ააშენებთ ისინი, ვისაც ეს ყველაფერი გათავისებული გაქვთ, ეს იქნება მომავალში თქვენი კარგი ცხოვრების განმსაზღვრელი. ყველაფრის მიუხედავად, ბავშვობა ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ფურცელია, როდესაც ყველა შეცდომა, ყველა სიგიჟე გეპატიება, რაც უფრო მეტად შორდები ამ ასაკს, მით მეტად გრძნობ დროის ფასს და ხშირად ნატრობ, რამდენიმე წუთით, რამდენიმე დღით მაინც დაბრუნდე იქ, სადაც მხატვრის ფუნჯს ყველაზე მეტად სჭარბობდა ნათელი და ჭრელი ფერები.

27 მაისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დარბაზში პირველი საჯარო სკოლის მეთორმეტე ა და ბ კლასების ბოლო ზარისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩატარდა. ბავშვობასავით ლაღი, ძალიან უშუალო და სანახაობრივი ღონისძიება ჩაატარა პედაგოგ მზია ტარყაშვილის სადამრიგებლო კლასმა. ერთმანეთი ზედმეტსახელებით წარმოადგინეს და სიმღერით „ახ, ტურფავ, ტურფავ“, გახსნეს ზეიმი. როდესაც სცენაზე გამოვიდა მეთორმეტეების ოთხი ბიჭი -გოდერძი აბულაშვილის სოლისტობით და ეს სიმღერა ააჟღერეს, ძარღვებში სისხლი გამეყინა, ეს იყო შეუდარებელი ვაჟკაცური ხმების არაჩვეულებრივი შერწყმა და უპრეცენდენტო შესრულება, რომლის ანალოგიც არ მომისმენია, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ქიზიყის გენში ჭეშმარიტი ქართველი ვაჟკაცის გენი ოდითგან იყო, არის და არასოდეს წაიშლება. შემდეგ იყო გოგონების და ბიჭების მომხიბვლელი „როკი“, იყო კვლავ მჭექარე სიმღერა - „ჰორიდა“, იყო „მგზავრების“ დღეისთვის ასე რიგად პოპულარული „შენზე ფიქრებმა გამინაპირეს“ და 33ა -ს „სიყვარული თუ გაქრება“, იყო ცეკვა „აჭარული“ და მხიარული„ზოგი ასე უბერავს“ და ყველაფერი ის, რაც ამ ასაკს ყველაზე მეტად უხდება, რაც ყველაზე დიდი ხალისით შეიჭრება ხოლმე მოსწავლეობის წლებში და რასაც უმალ აიტაცებენ, რათა კიდევ ერთხელ იცელქონ, იცინონ და დატკბნენ ბავშვობით.

ბოლოს ფორტეპიანოზე შესრულდა სენტიმენტალური „ტანგო“, რომლის შემდეგ მეთორმეტე კლასელებმა სცენაზე მოუხმეს თავის პირველ პედაგოგს მარინე ინასარიძეს. ქალბატონმა მარინემ ბავშვებს რამდენიმე მოგონება შეახსენა, რითაც კარგად წარმოჩინდა მისი პატარა აღსაზრდელებისადმი მშობლიური დამოკიდებულება. მან ბავშვობის გზაგასაყართან დალოცა თავისი აღზრდილები და სიკეთის მადლი შეახსენა თითოეულს, -„არ დაგავიწყდეთ, რომ სიკეთით განვლილი გზა მუდამ გამართლებულია, რომ სიკეთე ყოველთვის სძლევს ბოროტებას!“ -აღნიშნა მან და თავის გამოსვლა ლექსით დაასრულა.

ბოლო ზარის ღონისძიებას ესწრებოდა ყოვლადუსამღვდელოესი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მეუფე მელქისედეკი, რომელსაც ბავშვებმა სთხოვეს დალოცვა. -„გიცქერდით და არამარტო მე, ალბათ, აქ დამსწრე საზოგადოება, ყველა მათგანი ჩვენს ბავშვობაში დაგვაბრუნეთ, თქვენ მე ჩემი ბავშვობა გამახსენეთ, რომელიც ყველაზე ტკბილი მოგონებაა ადამიანის მიერ განვლილი წლებიდან, მეც ასე თქვენსავით გამოვდიოდი სცენაზე, ვამბობდი ლექსს, ვმღეროდი თანაკლასელებთან ერთად და ჩვენც ვცეკვავდით და ვუსმენდით როკს, ოღონდ მაშინ ეს ძნელად ხელმისაწვდომი მუსიკა გახლდათ და ძლივს მოვიძიებდით ერთ ან ორ ჩანაწერს, დღეს თქვენთვის ეს მუსიკა უკვე ხელმისაწვდომია და ამაში ცუდი არაფერია, ამაშია სწორედ თავისუფლების და დემოკრატიის მთელი არსი. მე მომწონს, რომ თქვენ ასეთი თავისუფლები ხართ, უნდა იყოთ კიდეც თავისუფლები, ოღონდ სინდისისგან თავისუფლები არა! მიმაჩნია, რომ თქვენს ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი, ძალიან კარგები ხართ ყველა, ძალიან ლამაზები და მიხარია, რომ ასეთი კარგები ხართ, გახსოვდეთ, რომ თქვენ ჩემი სახით გყავთ ერთი უფროსი მეგობარი. დაგლოცავთ, ბავშვებო!“-აღნიშნა მეუფემ. მისმა თბილმა სიტყვებმა მთელ დარბაზში მძაფრი ემოციაგამოიწვია,, რამაც ბავშვობასთან გამოთხოვების ისედაც მღელვარე წუთები უფრო მეტად მგრძნობიარე გახადა.

ბოლო ზარის დარეკვამდე, მოსწავლეებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და სიტყვაში გამოვიდნენ კლასის ხელმძღვანელი მზია ტარყაშვილი და სკოლის დირექტორი ეთერ ოთარაშვილი. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ბავშვები ორივე პედაგოგს გულში იხუტებდნენ და კოცნიდნენ, რაც ჩემის აზრით პირდაპირი მანიშნებელია იმის, რომ ამ პედაგოგებს თავისი ღვაწლი და მშობლიური მზრუნველობა პირნათლად შეუსრულებიათ!

იმავე დღეს პირველი საჯარო სკოლის მეთორმეტე ბ კლასიც დაემშვიდობა სკოლის წლებს, პირველ პედაგოგს ნელი შოშიაშვილს და კლასის ხელმძღვანელს ლალი აბაშიძეს.

ლალი მეხრიშვილი

სიკეთეს სიყვარული შთაგვაგონებს

ჯონ რესკინი ამბობდა -„კეთილი საქმე არ შეიძლება ჩაიდინო სიძულვილით, ან, მით უმეტეს ანგარებით, მას მხოლოდ სიყვარული ჩაგადენინებსო“. უდიდესი კომპოზიტორი, ლუდვიგ ვან ბეთხოვენი კი აცხადებდა: -„ჩემთვის უცნობია უპირატესობის სხვა ნიშნები, გარდა სიკეთისა.“ მართლაც, ძალიან დიდია ცნება იმისა, რასაც სიკეთის კეთება, გაცემა, ჩუქება, უფრო სხვანაირად ქველმოქმედება ჰქვია. უკვე წლებია, დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში არსებობს საქველმოქმედო ფონდი „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“, რომელსაც სათავეში პედაგოგი ლალი აბაშიძე უდგას, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ამ ფონდმა სკოლის მოსწავლეების აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით, არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება ჩაატარა, რითაც უამრავ სოციალურად შეჭირვებულ და უნარშეზღუდულ ბავშვებს დაეხმარნენ. ამჯერადაც იგივე განმეორდა, 27 მაისს, ქველმოქმედების „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“ შინაარსის აქცია ლალი აბაშიძის სადამრიგებლო კლასის ინიციატივით, ახლა უკვე დედოფლისწყაროს კულტურის სახლის შენობაში გაიმართა. აქცია-მარათონზე გამოტანილი იყო ხელნაკეთი ნივთები, მძივები, აქსესუარები, ნაქსოვები, ნაქარგები, ნახატები, რას არ ნახავდით ამ გამოფენაზე, სადაც შეგეძლოთ მონაწილეობა მიგეღოთ ქველმოქმედებაში, როგორც რომელიმე ხალხური რეწვის ნიმუშის შეძენით, ასევე საკუთარი ნამუშევრის შეწირვით.

-„ჩემმა ბავშვებმა რვა წლის განმავლობაში სამ გამოფენა- გაყიდვას უმასპინძლეს, ამჯერად გვქონდა ასეთი გზავნილი, რომ ჩვენი სკოლის და სხვა სკოლის მოსწავლეებს ჩვენი ინიციატივით მოეწყოთ გამოფენა -გაყიდვა, რათა მომავალშიც ჰპოვოს ამ საქმემ გაგრძელება და ტრადიციად იქცეს ეს წამოწყება. საწუხაროდ, ჩემს სადამრიგებლო მეთორმეტე კლასს საატესტატო გამოცდები ჰქონდა და ამ ეტაპზე აღნიშნული ღონისძიებისთვის კარგად ვერ მოიცალეს, თუმცა, ჩემი დიდი ძალისხმევით, გამოფენა მაინც შედგა. გამოფენის ატრიბუტიკის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პირველი საჯარო სკოლის VII^{ბ} კლასის მოსწავლეებმა, მაგალითად, ხათუნა გუშარაშვილმა მობილურების და საათვალეების ჩასადები მოქსოვა და მოგვაწოდა. ასევე, თავისი შემოქმედების ნიმუშები შემოსწირა მე-7 გ კლასის მოსწავლე ზაზა ბუჭყურაშვილმა, მათი კლასის დამრიგებელი გახლავთ ჯულიეტა გოგილაშვილი. აქციაში საკუთარი ნამუშევრებით თავისი წვლილი შეიტანეს მე-8 ა) კლასის მოსწავლეებმა, რომლის დამრიგებელი გახლავთ ლია ქადაგიძე, ასევე, პირველი საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებმა გვანცა ყავრელიშვილმა, ლუკა თავაძემ, ია წიკლაურმა, მარიამ მენთეშაშვილმა, ანა ბუჩუკურმა და სხვებმა. კლასის დამრიგებელი გახლავთ ნინო ოქროპირიძე. ინგა ქუფარაშვილის სადამრიგებლო მე-3 ა კლასის მოსწავლეებმა ირინა იაკობიშვილმა, თეკლა ჯიბღაშვილმა , მარიამ ბექაურმა, ასევე ხელოვნების ნიმუშები წარმოადგინეს, ხოლო მე-9 კლასმა, მათი დამრიგებელია ხათუნა მენთეშაშვილი, შემოსწირა გარკვეული ოდენობის თანხა, მასწავლებელმა ნუნუ ბეგიაშვილმა მოიტანა საკუთარი ნამუშევრები, დებმა შორენა და თამთა ფეიქრიშვილებმა კი ხელნაკეთები შემოგვწირეს. ხელოვნების ნიმუშები წარმოგვიდგინეს და ამით აქციას შემოუერთდნენ ბოდბის წმინდა ილიას სახელობის სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი ნათია ცისკარაული) .მათ გამოგვიგზავნეს ნახატი, რომელიც მოეწონა ჩვენს მეგობარს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნიკა ჩიბუხაშვილს და ვაჩუქეთ. ჩემმა სადამრიგებლო კლასმა შემოსწირა თანხა 200 ლარის ოდენობით, რითაც დავეხმარებით იმ კლასის სოციალურად დაუცველ ბავშვებს და მრავალშვილიანებს, რომელმა კლასებმაც მიიღეს მონაწილეობა ქველმოქმედებაში!“- ამბობს ღონისძიების მასპინძელი ქალბატონი ლალი აბაშიძე ჩვენს მიერ გამოფენის დათვალიერების დროს.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული სკოლის თვითმმართველობა, ერთად- ერთი, რაზეც აქციის ორგანიზატორი მოსწავლეები გულისწყრომას გამოხატავდნენ საზოგადოების ქველმოქმედებაში ნაკლებჩართულობა იყო. - „გულსატკენია, რომ სხვა საჯარო სკოლებიდან არ შეიმჩნეოდა აქციაში აქტიურობა. საწყენია ისიც, რომ ჩვენს მიერ მოწვეულმა ორგანიზაციებმაც პასიურობა გამოიჩინეს და არ მიიღეს მონაწილეობა აქციაში, უნდა ითქვას, ვისაც გავუგზავნეთ მოსაწვევები, ორგანიზაციებს, ბანკებს, რომ მოსულიყვნენ და ერთი ლარი მაინც გაეღო თითოეულ თანამშრომელს, არავინ მოსულა. არ ვიცით რატომ. შესაძლოა იმიტომ, რომ ეს დღეები შემოქმედებითი ღონისძიებებითაა დატვირთული და ბევრმა ამისთვის ვერ მოიცალა, მაგრამ საზოგადოების უფრო მეტი აქტიურობა რომ ყოფილიყო, ბევრად უკეთესი შედეგი გვექნებოდა და ბევრ გაჭირვებულსაც დავეხმარებოდით, თუმცა, ასე არ მოხდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, დიდი საქმე პატარიდან იწყება, მართალია, ამჯერად დიდი ოდენობის შემოწირულობა თანხის სახით არ შეგროვდა, მაგრამ, მაინც მოვახერხეთ რამდენიმე ბავშვის დახმარება. ვფიქრობთ, რომ საზოგადოება ჯერ არ არის მზად ამგვარი გამოწვევებისთვის, ან, არ არის მზაობა ჩვენს ირგვლივ იმისა, რომ ამგვარ აქციებს შეუერთდნენ და ამით შვება მოჰგვარონ თავისზე გაჭირვებულებს. ვფიქრობთ, რომ ჩვენ ლალი მასწავლებლის დახმარებით ეს კულტურა დავნერგეთ ჩვენს სკოლასა თუ რაიონში და ამით გარკვეულწილად მივეჩვიეთ სიკეთის ქმნის პრაქტიკას. ყველაფერი ეს ჩვენ მომავალშიც გაგვყვება და ვიქნებით მუდამ სიკეთის მატარებელნი. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში ჩვენი რაიონის მაცხოვრებლები ამ მხრივ უფრო მეტად გააქტიურდებიან. დღეს ჩვენ ბოლო ზარი გვაქვს, ვემშვიდობებით სკოლას, აქვე გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ლალი მასწავლებელს ჩვენთვის გაწეული ყოველმხრივი ამაგისთვის და მივცეთ პირობა, რომ მომავალშიც ხშირად ჩამოვალთ, დავუდგებით გვერდში, რათა ჩვენი წამოწყებული საქმე კვლავ გაგრძელდეს და ტრადიციად იქცეს!“ -ამბობენ აქციის მონაწილე მოსწავლეები, რომლებიც იმ დღეს ამ აქციის პარალელურად ბოლო ზარის ზეიმს აღნიშნავდნენ.

P.S. წარმატებები მომავალ თაობას!

ლალი მეხრიშვილი

ნიკუშა საბიაშვილი



ნიკუშ, დედი, 2 ივნისი, შენი დაბადების დღე უშენოდ უნდა ავღნიშნოთ, რომელიც ძალიან გიხაროდა. გილოცავთ შენი ოჯახი და შენი მეგობრები დაბადების დღეს. ეს ლექსი დაგინერა შენმა კლასელმა, ძმამ და მეგობარმა შოთიკო ქავთარაძემ.

,,შენი კაცური ცხოვრება თურმე რა მალე წუდებოდა,
ძმაო, რატომ არ გვითხარი, შენს თავს თუ რაშე ხდებოდა,
იქნებ რამე შეგვეძლო და დაგდგომოდით გვერდში,
ხომ აღარ გაგიჩნდებოდა ჭრილობა ლამაზ მკერდში...
შენი თვალები, გონება, სიკეთეს თესდნენ მუდამ,
შენი კაცური ცხოვრება ბევრს მაგალითად ჰქონდა,
შენთან ნაცხოვრი ცხოვრება ბევრ ადამიანს სურდა,
ყველა ახლობელს დღეს ისევ შენთან ცხოვრება უნდა...
პატიოსანი ვაჟკაცი კაცურად წავიტანე
ყველაფერს,
ცუდს მხოლოდ ის კაცი იტყვის, ვისაც გონება აგად უავს,
მაგრამ ჩვენ ისღა გვადარდებს, ჩვენ ხომ ჩვენი ძმა აღარ გვყავს.
ოცდამეერთე კიბეზე რა ცუდად შედგი ფეხი,
საფეხური რომ ჩატეხე და ჩვენც დაგვეცა მეხი,
ახლა რაღა ქნათ უშენოდ, რით მოვიპოვოთ ნუგეში,
ეს რა გვიქნი ძამიკო, ჩაგვჭირე ცრემლის გუბეში...
უშენოდ როგორ ვიცხოვროთ, როგორ ვიაროთ გზაზე,
დღეს ყველა ისევ ვოცნებობთ შენთან ნაცხოვრებ ჟამზე,
უშენოდ მზეც კი გვათბობს ამოწურული ცაზე.
არ გვინდა ფიქრი უშენოდ ნაცხოვრებ თუნდაც ერთ წამზე...
მოგვენატრები, ძამიკო, სულ შენთანა ვართ ფიქრებით,
გაგა წლები და წამოვალთ, ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით,
მოვალთ და ჩაგეხუტებით, წამოგაყენებთ ფეხზე,
იქაც ბავშვურად ვიცინოთ, იქაც დაფეხბურთ შერხზე...

ნიკუშ, მოვალთ შენს საფლავზე, მოგეფერებით, აგინთებთ სანთლებს. ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი სული. დაგიმკვიდროს უფალმა ცათა სასუფეველი.

შენი ოჯახი

შვილები: ნოდარ, ნათელა თამაზაშვილები, რძალი თამარ ჯამასპიშვილი, სიძეები: ლადო ბოლღაშვილი, გიორგი ქემაშვილი, ნიკა ხარებაშვილი, შვილიშვილები: გიორგი, ნინო, ეთუნა, თამუნა, შვილთაშვილი ლაზარე იუწყებიან

ნინა ქშუტაშვილ-თამაზაშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 31 მისს, ქალაქ დედოფლისწყაროში.

პურის, ღვინის და ფოლკლორის ფესტივალი





(პირველი გვერდიდან)

სძიებებით შემოიფარგლებოდნენ. უკვე მეორე წელია, რაც ჩვენს რაიონში საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს საკმაოდ გრანდიოზულად აღვნიშნავთ. მეორე წელია, ეს დღე დედოფლისწყაროელებისთვის სახალხო დღესასწაულად იქცა. ველოდი, მაგრამ ამდენად საინტერესოს და სანახაობრივად ლამაზად დადგმულს ნამდვილად არა, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ყველა ორგანიზაცია, ყველა სოფელი, სოფლების ახალგაზრდობა აქ, ამ ლამაზად მორთულ ქალაქ დედოფლისწყაროში იყრიდა თავს. მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ფარდაგები გამოეფინა, სამხატვრო სკოლას- მოსწავლეთა ნახატები, სტუდია „არლეკინოს“ ბავშვები თემატურად სოფლის გოგონების და ბიჭების ფორმაში გამოწყობილიყვნენ და თავისი სცენური წარმოდგენით იწონებდნენ თავს, იქით ყვავილების ორანჟერია გახლდათ გაკეთებული, აქეთ გოდერძი გონაშვილი იწონებდა თავს თავისი ღვინის მარნის ატრიბუტიკით, ხორნაბუჯის სუფრას სათავეში ჩვენი ქვეყნის პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის მამა, ბატონი ტარიელი ედგა და ყველას თბილად ესალმებოდა, მირზაანელების სუფრას ერთობ ხიბლავდა არღნის ჰანგენი, ოზაანელები ფანდურების და სალამურების თანხლებით სიმღერას სიმღერაზე დასძახოდნენ, ხოლო სამთაწყაროელებიდან დოლისა და აჭარული სიმღერის ხმები მოდიოდა. სოფელი არბოშიკი, როგორც ყოველთვის, მასპინძლობის მაღალი კულტურით გამოირჩევოდა და არც ამჯერად უღალატა ტრადიციებს, ყველაზე მეტი სტუმარი მათ გამოფენას და სუფრას სტუმრობდა. აქვე გახლდათ ყოვლად უსამღვდელოესი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი, მეუფე მელქისედეკი, რომელიც თითქმის ყველა სოფლის სუფრასთან მივიდა და აკურთხა მოზეიმენი. განსაკუთრებულ ფაციფუცში იყვნენ თავად ამ ღონისძიების ავტორები, სულისჩამდგმელები და მასპინძლები- სპორტისა და კულტურის სახლის ხელმძღვანელი ნინო ბახუტაშვილი და გამგეობის სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი თამარ თამაზაშვილი. ეს გახლდათ დღესასწაული, რომელმაც სიხარული და სილაღე შეგვმატა. უნდა ვაღიარო, ემოციურად ასე დატვირთული და ბედნიერი დღე კარგა ხანია არ შემიგვრძვნია. ეს გახლდათ ნამდვილი სახალხო დღესასწაული, დღე, როდესაც ყოველდღიური დღისგან განსხვავებით, ამაყი ხდები ქართველობით, იმით, რაც გაგვაჩნია, ეს იყო დღე, როდესაც უშურველად გაიცემოდა ღიმილი, სითბო, სიყვარული და უფრო მეტად გავიგეთ ადამიანებმა ერთმანეთის ფასი და უფრო ძალუმად შევიგრძენით სამშობლოს სიყვარული.

ამავე დღეს ჩატარდა ღვინის ფესტივალი, ღვინის დეგუსტატორებმა ყველა სოფლის ღვინო შეამონმეს და გამოავლინეს გამარჯვებულები:

კონცერტის ბოლოს, გამოცხადდა ნომინაციებში გამარჯვებულები:

საუკეთესო გლეხური ღვინო - სოფელი სამრეკლო - გია ბენაშვილი.

საუკეთესო ქარხნული ღვინო - სოფელი ხორნაბუჯი - გიორგი კიკილაშვილი.

საუკეთესო ორიგინალური ღვინო - ნახევრად ტკბილი - „ღვინოვ, კახურო, გონაშვილისა“ - გოდერძი გონაშვილი.

საუკეთესო პური - სოფელი არხილოსკალო და სოფელი არბოშიკი.

საუკეთესოდ მოწყობილი ფოლკლორული კუთხე - სოფელი არბოშიკი.

საუკეთესო ფოლკლორული კოლექტივი - სოფელ ზემო ქედის ვოკალური ანსამბლი.

საუკეთესო ინდივიდუალური შემსრულებლები: ნინო ნაჟეური (სოფელი ქვემო ქედი) და გიგა სუხიტაშვილი (სოფელი ოზაანი).

ხალხური რეწვის საუკეთესო ნიმუში - სახელოსნო „ფესვები” საუკეთესო მეყვავილე - ნატალია ნიკლაური, სოფელი ხორნაბუჯი.

საუკეთესო ფოტო - ნუგზარ ყარაგვეზაშვილი.

ნომინაციაში გამარჯვებულები და ჟიურის წევრები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით. ღონისძიება ღამით დისკოტეკით დასრულდა.

ლალი მეხრიშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

თამბაქო - გლობალური საფრთხე!

(პირველი გვერდიდან)

ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვადასხვა საბაზისო გამოკვლევის მონაცემებით, სადღეისოდ თამბაქოს ეწევა ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 37-40%. მამაკაცებს შორის მწეველია 50-65%, ხოლო ქალებს შორის – 16-22%.

სავარაუდოდ, ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული სხვაობა თანდათან შემცირდება, რადგან მწეველ ქალთა რაოდენობა იზრდება. საქართველოში მწეველ ქალთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ თუ ეს პროცესი სასწრაფოდ არ შეჩერდა, კატასტროფაც კია მოსალოდნელი.

ძალზე საყურადღებოა მდგომარეობა მოზარდებს შორის. სკოლის მოსწავლეების 22,1% მწეველია, ხოლო ქალებს შორის მწეველობის პროგრესი კატასტროფულია — იგი ბოლო 16 წლის განმავლობაში თითქმის 6-ჯერ გაიზარდა (მათ შორის, გახშირდა თამბაქოს მოხმარება ორსულებშიც).

სხვადასხვა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმყოფება თამბაქოს პერმანენტული და ინტენსიური ზემოქმედების ქვეშ.

საქართველოში თამბაქოს მასობრივ მოხმარებას ვაჟები 10-11 წლის ასაკში იწყებენ, გოგონები – 12-13 წლის ასაკში. თუ ისინი გააგრძელებენ თამბაქოს წევას, ჩამოუყალიბდებათ მისდამი ძლიერი დამოკიდებულება, რაც მრავალი გართულების წინაპირობაა.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილის ხარჯზე, რომელიც ამჟამად 0-დან 19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფშია, მწეველებს 800 ათასი ადამიანი მოემატება, რომელთაგან 400 ათასი დაიღუპება თამბაქოს მავნე ზემოქმედების შედეგად, მათ შორის 200 ათასი – საშუალო ასაკში, ამდენივე კი – ხანში შესული. 35 წლის ქართველ მამაკაცებს შორის 5-დან ერთი თამბაქოსგან გამოწვეული პრობლემებით გარდაიცვლება.

სიკვდილის სტატისტიკა

- XX საუკუნეში თამბაქოს მოხმარების შედეგად 100 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა.

- მსოფლიოში თამბაქოს გამო ყოველწლიურად საშუალოდ 5.4 მილიონი ადამიანი კვდება, ანუ ყოველ 6 წამში – ერთი.

- ყოველი 10 მოზრდილი ადამიანიდან ერთის სიკვდილის მიზეზი თამბაქოს მოხმარებაა.

- თამბაქო მწეველთა ნახევარზე მეტის სიკვდილის მიზეზია (დანარჩენი “იღბლიანები” სხვა მიზეზებს ეწირებიან, ვიდრე საბოლოოდ თამბაქოს ემსხვერპლებოდნენ).

- რვა ყველაზე გავრცელებული დაავადებიდან, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით სიკვდილის წამყვან მიზეზებს წარმოადგენს, ექვსის რისკფაქტორი თამბაქოს მოხმარებაა.

- თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებებითა და გართულებებით გაცილებით მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ერთად აღებული შიდსის, ავტოკატასტროფების, მკვლელობების, თვითმკვლელობების, ინფექციური დაავადებების, სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შედეგად.

გარდაცვლილ ონკოლოგიურ ავადმყოფთა 30% თამბაქოს მოიხმარდა, ფილტვის კიბოთი დაავადებულთა შორის კი მწეველთა ხვედრითი წილი 80%-ს აღწევს.

- ვინაიდან თამბაქოს მოხმარების დაწყებიდან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებამდე რამდენიმეწლიანი შუალედია, თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებებისა და სიკვდილის ეპიდემია შედარებით ახალი დაწყებულია.

- თუ მსოფლიომ თამბაქოს ეპიდემიის შესაჩერებლად უსწრაფესად არ იმოქმედა, 2030 წლისთვის ეს რიცხვი 8 მილიონამდე გაიზრდება

როგორ გვიჭერს

ნიკოტინი ძლიერ მიჩვევას იწვევს. ჰეროინის, კოკაინისა და სხვა ნარკოტიკების მსგავსად, ის ცვლის ტვინის მუშაობას და მწეველს მეტი და მეტი ნიკოტინის სურვილს უჩენს. ეს სურვილი შეიძლება იმდენად ძლიერი იყოს, რომ ადამიანმა სხვაზე ველარაფერზე იფიქროს.

მოწევა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ დამოკიდებულებას იწვევს. თამბაქოს მწარმოებლებმა კარგა ხანია იციან, რომ ეს მათ პროდუქციის რეალიზებაში ეხმარება. თანამედროვე სიგარეტები მეტ ნიკოტინს შეიცავს და ეს უკანასკნელი უფრო სწრაფად აღწევს ორგანიზმს. დანამატები, რომლებსაც მწარმოებლები აქტიურად იყენებენ, სიგარეტზე დამოკიდებულებას კიდევ უფრო აძლიერებს.

არ არსებობს მეცნიერული საბუთი იმისა, რომ ნაკლები კუპრის შემცველი, მსუბუქი, ფილტრიანი სიგარეტები ნაკლებსახიფათოა. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ისინიც იწვევს მიჩვევას და ძლიერ ანალოგებზე არანაკლებ საშიშია.

რატომ უნდა დავანებოთ თავი

საფუძველშივე მცდარია აზრი, თითქოს თამბაქოსთან განშორება თითქმის შეუძლებელი იყოს ანდა შხამით ერთხელ და სამუდამოდ დაბინძურებულ ორგანიზმს ჯანმრთელობას ველარაფერი უბრუნებდეს.

მნიშვნელობა აქვს ყოველ დღეს. ყოველი მონეული ღერი სიკვდილს უფრო მეტად გაახლოებთ, თავის დანებება კი, რამდენი წლისაც არ უნდა იყოთ და მოწევის რა ხანგრძლივი გამოცდილებაც არ უნდა გქონდეთ, რისკს მაინც შეამცირებს. თუმცა, ცხადია, სხვადასხვა ხარისხით და რაც უფრო გვიან, მით უფრო ნაკლებად.

დამტკიცებულია, რომ:

* ყოფილი მწეველები ჯერ კიდევ მწეველებზე უფრო მეტხანს ცოცხლობენ. ასე, მაგალითად: თუ მოწევას 50 წლამდე დაანებებთ თავს, მომდევნო 15 წლის განმავლობაში გარდაცვალების რისკი 1,5-ჯერ ნაკლები გექნებათ, ვიდრე მათ, ვინც მოწევას განაგრძობს.

* თავის დანებება ამცირებს გულის დაავადების, კიბოს, ინსულტის, ფილტვის ქრონიკული დაავადების განვითარების საფრთხეს.

* ქალებს, რომლებმაც თამბაქოს წევას დაორსულებამდე ანდა ორსულობის პირველი 4 თვის განმავლობაში დაანებეს თავი, მცირეწონიანი ბავშვის დაბადების ალბათობა თითქმის ისევე მცირე აქვთ, როგორც არამწეველებს.

ულოცავენ!

აკაკი ტუსაშვილს, თიკო ტეტელოშვილს!

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ უამრავ სიხარულს, სიყვარულს, გამრავლებას და ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას!

პატივისცემით, უახლოესი მეგობრები

იყიდება დედოფლისწყაროში, თავისუფლების ქუჩაზე, 3 სართულიანი (2 სართული+მანსარდი) აგურის კერძო სახლი, ეზოს ფართობით 0, 25 ჰა, ხეხილის ბაღით, 2 ადგილიანი ავტოფარეხით.

შენობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საოფისედ, სასტუმროდ.

საკონტაქტო ტელ 591 20 52 31; 598 82 37 45

სამკურნალო გამაჯანსაღებელი მასაჟის კაბინეტი

გიწვევთ გამაჯანსაღებელ პროცედურებზე. აქ შეგიძლიათ ჩაიტაროთ მკურნალობა ოსტეოქონდროზზე, ინსულტის შემდგომი სარეაბილიტაციო მასაჟი, ასევე, საბავშვო, თაფლის, ანტიცელულიტური, ვაკუუმური, წონის კორექციისა და გამაახალგაზრდავებელი მასაჟები. ასევე შეგიძლიათ ყურის გახვრეტა უმტკივნეულოდ, პისტოლეტით.

ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №55 ან დაგვირეკეთ ტელ: 593 13 40 56

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 02.06		სამშაბათი 03.06		ოთხშაბათი 04.06		ხუთშაბათი 05.06		პარასკევი 06.06		შაბათი 07.06		კვირა 08.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
26 °	18 °	20 °	17 °	23 °	18 °	25 °	18 °	25 °	17 °	27 °	19 °	28 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ტულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K